65ც
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 20 სექტემბერი, 1919.

# ერთობა

ფასი 2 შაური

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

213 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 213

[illegible] დამწუხარნი დიდედა სოფიო ბალანაშვილისა, დეიდები: ლიზა [illegible]როვისა შვილით რევაზი, ნატო ფოთოლაშვილი, ბიძაშვილები: [illegible]ბზილაძე, მისი მეუღლე თამარი, მარიამ კაციტაძე თავის შვილით, კოტე ოთაროვი, ტიტიკო ფოთოლაშვილი და სვიმონ კა[illegible] პაპიდაშვილი დარო ჩხიკვაძე, მისი მახლობელი მეგობარი [illegible] მელქისედეკ ბექ[illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობ[illegible], რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

**გიორგი ზაალის ძე მესხიშვილი**

[illegible] ენკენისთვის 20 9 ნახ. საათზე [illegible] [illegible] მთავრის ქუჩა (Великокняжеская) წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში, დაკრძალვა მოხდება იქვე.

[illegible] დამწუხრებულნი მეუღლე ნინო და ქალი თამარა მამულაშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 21 სექტემბერს დილით კვირას 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია [illegible] წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი

**არსენის მამულაიშვილის**

სულის მოსახსენებლად. 2—1

[illegible] და წუხილით: [illegible] გრიგოლ გიორგის ძე გეგეჭკორი პაწინა ქალებით, მარიამ ივანეს ასული კაევომიაგი და [illegible] გეგეჭკორი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის, მეორის საყვარელი ქალის და უკანასკნელთა ტკბილად მოსაგონარი რძლის

**ალექსანდრა ნიკოლოზის** ასულის **გეგეჭკორის**

[illegible] წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, შაბათს, 20 სექტემბერს, დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე.

[illegible] დამწუხარნი დედა ნინო, ძმები: [illegible], გრიგორი და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და დარო მირინაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაკაშვილები, სიმამრი ნიკო და სიდედრი ანნა [illegible]შვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 20 ენკენისთვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი

**ნიკოლოზ მალაქიას ძის მირინაშვილის**

სულის მოსახსენებლათ. წირვა და პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 17 სექტემბერს ს. ნანეულში თავის სახლში გარდაიცვალა

**ბესარიონ ვაჩეიშვილი**

რასაც მწუხარებით აუწყებენ თავის ნათესავებს და მეგობრებს მამა იორდანე, ძმა ლევანი და ძმის წული შურა ვაჩეიშვილები. დაკრძალვა 20 სექტემბერს. (2—2)

სურამში, კვირას, 21 სექტემბერს, მუშათა ჟურ. „პროლეტარის" რედაქციის ფონდის გასაძლიერებლათ

**გაიმართება დიდი საღამო**

მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის, ახალგაზრდა პოეტები: ვ. რუხაძე, რ. [illegible]ბილა, ობოლი მუშა, მომღერალნი თფილისის კონსერვატორიის პროფესორი ენრიკო ბროჯი და ვალერი ჯვარ ძე, მუსიკოსი ილიკო ქურხული. (2—1)

## ერობათა ყრილობის დასასრული

ერობათა ყრილობის მუშაობა დამთავრდა. იგი უფრო ბევრს ხანს გაგრძელდა, ვიდრე ეს განზრახული იყო და ეს ხანგრძლივობა სრულიად მართლდება, როდესაც ეცნობით ყრილობაზე გამოტანილ საკითხებს. ყრილობაზე აღძრული იყო მრავალი იმისთანა საკითხი, რომლებიც შეეხება თვით სახელმწიფოს არსებობას, მის წეს წყობილებას, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე პირდაპირ დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკის აწმყო და მომავალი.

ცენტრალი ადგილი ყრილობაზე ეჭირა, როგორც უკვე ვთქვით, საერობო ცენტრის დაარსების საკითხს. მწვავე და ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ გამონახა სწორეთ ისეთი გამოსავალი, რომელიც, როგორც ცენტრალურ დაწესებულებათათვის არის სავსებით მისაღები, ისე თვით ერობათათვის არის ხელსაყრელი. საერობო ცენტრი არ იქნება სახელმწიფო კანონის მიერ სავალდებულოდ აღიარებული, სახელმწიფოებრივ კომპეტენციებით აღჭურვილი დაწესებულება; იგი არ იქნება საერობო დაწესებულებათა მესამე საფეხური. ეს ცენტრი იქნება მხოლოდ ერობათა გამაერთიანებელი, ერობათა შეთანხმებაზე დამყარებული, არა სახელმწიფოებრივი, არამედ ხელმძღვანელი, საინსტრუქციო ორგანო. პრინციპიალურად ეს უკვე გადაწყვეტილია და ამ ცენტრის ორგანიზაციის დაწვრილებით შემუშავება მიენდო ცხრა კაცისაგან შემდგარ კომისიას. ამნაირად ერობათა ყრილობამ საუკეთესო გამოსავალი ნახა ამ საკითხში: მან, ერთის მხრით, დააკმაყოფილა ის გაერთიანების საჭიროება, რომელსაც ერობები აუცილებლად გრძნობენ ცენტრალურ დაწესებულებათა მოუმაგრებლობის გამო, მეორე მხრით, ერობათა ცენტრის ამ სახით დაარსება არ დაასუსტებს ცენტრალ ორგანოებს და არ შეიტანს სახელმწიფოში უფლება-მოვალეობათა არევ დარევას და არ შემოიღებს ორ ცენტრიანობას.

მეორე საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ყრილობაზე, ერობათა ფინანსებს შეეხება—ერობათა ფინანსიური სისტემა ეს არის იგივე სახელმწიფო ფინანსიური სისტემა; ერობათა ფინანსიური გამაგრება ნიშნავს სახელმწიფოს მდლონიერებას და ვინ არ იცის, რომ სახელმწიფოს ფინანსიური მდლონიერებაზეა დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის ყოფნა-არ ყოფნა. ბევრი გონებრივი მუშაობა, ბევრი ფიქრი და კამათი დასჭირდა ერობათა ყრილობას ამ საკითხში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. ბოლოს იგი დაადგა იმ გზას, რომელსაც მოითხოვდა სახელმწიფოს სარგებლობის შეგნება; ერობათა ხელში უნდა დარჩეს ის ნაწილი სახელმწიფო შემოსავლისა, რომელიც პირდაპირი გადასახადიდან შემოდის, დანარჩენი ცენტრალურ მთავრობის ხელში უნდა მიდიოდეს. თვით გადასახადების განაწილება და მათი აღება უნდა შედიოდეს თვითმართველობათა მოვალეობის ფარგალში. მთავრობა მხოლოდ თვალ ყურს უნდა ადევნებდეს ამ საქმეს.

ფინანსიურ საკითხთა შორის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი იდეა წამოაყენა ყრილობამ—საერობო ბანკის დაარსება. თუ ერობებმა ამ აზრის განხორციელება შესძლეს, ამით ისინი გააკეთებენ უდიდეს საქმეს ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიურად გამაგრებას, მას კრედიტის ამაღლების საქმეში.

ბანკი, რომელიც დაყრდნობილი იქნება ერობათა პასუხისმგებლობაზე, იქნება ის დაწესებულება, რომელიც ყოველ ამნაირ დაწესებულებებზე უფრო მეტს ნდობას მოიპოვებს უცხო სახელმწიფოთა და უცხო კაპიტალისტთა თვალში. თუ ამ ბანკის დაარსება მოხერხდა, ჩვენი ერობა დიდს და საშვილიშვილო ღვაწლს დასდებს ჩვენს რესპუბლიკას.

იმ დამჯდარმა, სერიოზულმა, სახელმწიფოებრივ შეგნებით გამსჭვალულმა და პროვინციალურ კერძოობას მოკლებულმა მუშაობამ, რომელიც გასწია ერობათა ყრილობამ, თვით მისი მტრებიც უნდა ჩააჩუმოს. ვინც აქამდის ბედავდა იმის თქმას, რომ ჩვენი ერობები არაფრისათვის არიან ვარგისნი, მათ ნგრევის და არევ დარევის მეტი არაფერი გაუკეთებიათო, გაეცნოს ყრილობაზე გადაშლილ ერობათა ნამუშევარს. მოუწოდებთ ჩვენი ერობების მოძულეთ: მიაქციონ ყურადღება, რა სიმაღლეზეა აყვანილი ოზურგეთის ადმინისტრაცია, როგორ არის დაყენებული სიღნაღის ერობაში ხარჯთ აკრების საქმე, როგორ არის მოწყობილი სწავლა-აღზრდა ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის და სხვა ერობათა მიერ; გაახილონ თვალები, დაინახონ, რომ ქუთაისის ერობას გაჰყავს ქუთაისისა, ხონსა და სამტრედიას შორის რკინის გზა, რომლის გაყვანასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის ნივთიერად აღორძინების და გამაგრების საქმეში; დაინახონ ყველა ეს და გვითხრან, სად უნახავთ, რომ ისეთს ნორჩ დაწესებულებას, როგორიცაა ჩვენი ერობა, ამისთანა მოკლე დროში გაეკეთებინოს იმოდენა საქმე, გამოეჩინოს ისეთი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი სიმწიფე, როგორც ეს ქნა ჩვენმა ახლად ფეხადგმულმა ერობამ?

## რეაქციონერები სოფლად

სოფელში რეაქციონერები ახმაურდნენ, ამუშავდნენ და თავის პროვოკაციულ ქსელში ბლომათ გახვიეს სოფლის გულუბრყვილო მცხოვრებნი.

მრავალი ჯურის და მოდგმის პროვოკატორები თავი უვლად თარეშობენ და ენერგიულად აკეთებენ თავის შავ საქმეს. ისინი არ უშვებენ შემთხვევას—გაილაშქრონ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ, გაუტეხონ მას სახელი, შეიტანონ ხალხში არევ დარევა და ასე ამღვრეულ წყალში თავისუფლად ითევზაონ.

ამ ხილად პროვოკატორების მთელი მუშაობა გადასახადების გარშემო ტრიალებს. ჩვენს რედაქციას მრავალი წერილი მოსდის მათი შავი აგიტაციის შესახებ ამ ნიადაგზე. აქა იქ, სამწუხაროდ, კიდევაც აუყოლებიათ შეუგნებელი სოფელი.

პროვოკატორებმა კარგათ შეიგნეს ხალხის სულის კვეთება—გადასახადის გადახდა ხალხს ეზარება, არ უნდა, სძულს. ასე იყო რევოლიუციამდე. რევოლიუციის დროს ხომ სულ არაფერი გადაუხდია. გადასახადის გადაუხდელობაზე აგიტაცია დემოკრატობის დროშით გახდა და ამ ყალბი დროშის ქვეშ სოფლის რეაქციონერები თავაშვებულ აგიტაციას ეწევიან შემოღებული გადასახადის წინააღმდეგ და მათ ამყოლ გულუბრყვილო სოფლელებს ჰგონიათ, რომ თავიანთ უარით გადახდაზე, დემოკრატიის ინტერესებს იცავენ.

თქვენ გპირდებოდნენ გადასახადების მოსპობას, ღარიბების სრულიად განთავისუფლებას, მდიდრების დაბეგვრას და სხ. ნამდვილათ კი მთელი გადასახადები თქვენ დაგაკისრესო და სხ. აქედან დასკვნა: ს. დ. მოგატყუეთ,—ძირს ისა და მისი მთავრობაო.

როგორც ხედავთ, ამ ვაჟბატონებს ის კი არ აწუხებს, რომ გლეხს გადასახადს ახდევინებენ, არამედ ის, რომ რესპუბლიკის სათავეში დგას ს. დ. მთავრობა. მათ კარგათ იციან, რომ გადასახადის გარეშე არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს. ვისაც უნდა რესპუბლიკა, ვისაც უნდა ქვეყნის დემოკრატიული მართვა-გამგეობა, იმას არ შეუძლია რამე სთქვას გადასახადის წინააღმდეგ. მით უმეტეს ჩვენს პირობებში. ჩვენი რესპუბლიკა წარმოუდგენელ ცუდ პირობში დაიბადა. შიგნით ანარქია, გარე[illegible] ომები, მოწყობა მართვა-გამგეობის, შექმნა ათას გვარი ხალხისათვის საჭირო დაწესებულებების—ყოველივე ეს ითხოვს აუარებელ ხარჯს და საიდან შეუძლია მთავრობას ის დაფაროს, თუ არა ხალხის დახმარებით?! ამიტომაც იყო, რომ დამფ. კრებამ ერთხმად მიიღო ერთდროული გადასახადი. ერთდროული იმიტომ, რომ ამ გადასახადებით მთავრობა ფიქრობს ყველა იმ საჭიროებათ დაკმაყოფილებას, რომელიც ემსახურება იმავე ხალხის არსებით და სასიცოცხლო ინტერესებს. როცა მდგომარეობა გამოკეთდება, ეჭვი არაა, ხალხისმთავრობა თვით ეძებს ხალხის განთავისუფლებას ყოველგვარ ზედმეტი ხარჯებისაგან, რომელიც დღეს ასე აუცილებელია [illegible] ჩვენი ხალხის შეგნებული ნაწილი და ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეს შეგნებული ნაწილი [illegible] პროვოკატორების ალაგმვას და სათანადო ადგილს დაუდებს მათ თარეშს. [illegible] გადაუხდელობა საშუალებას [illegible] მთავრობას [illegible] თავის ხალხისავე საქმე. ამის შედეგი კი იქნება ანარქია, არევ-დარევა, და ეს საბოლოოდ [illegible], როგორც ჩვენს რესპუბლიკას, ისე თვით ხალხის ინტერესს. [illegible] სწორეთ ეს [illegible] დარწმუნებული ვართ, ჩვენი [illegible] ნაწილი არ მისცემს [illegible] ნებას.

[illegible] რეაქციონერებს, მხარის და[illegible] გამაგრება რესპუბლიკის [illegible] დღევანდელი სა[illegible] ვეძახით ყველას, ვისაც ინტერესებს ჩვენი ხალხის [illegible]განი.

## სახალხო გვარდიის ყრილობა

თავმჯდომარეობს [illegible]ფანიძე. [illegible] შტაბის მოხსენება.

მომხსენებელია ვ. ჯუღელი: ამხანაგებო! სანამ მოხსენებას შევუდგებოდე, მე მინდა შევჩერდე იმ მისალმებებზე, რომლებიც ყრილობამ მოისმინა. მისალმებები მოწმობენ, რომ ჩვენ დიდი მუშაობა გვიწარმოებია და კიდევაც უნდა ვაწარმოვოთ. მაგრამ ჩვენ მრავალი ნაკლიც გვქონდა და ქებამ არ უნდა გაგვიტაცოს. თუ შეიარაღებულმა ძალამ თავისი თავი წარმოიდგინა ერთად ერთ ძალად, რომელსაც ეყრდნობა სახელმწიფო, ის დაემხობა და დაემხობა თვით სახელმწიფოც. ჩვენ ღვიძლი შვილი ვართ დემოკრატიისა და ეს უნდა მუდამ გვახსოვდეს. სახალხო გვარდიაში არ უნდა მოხდეს ის მილიტარიზაცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს ანადგურებს სახელმწიფოს. ჩვენ მოვსულვართ აქ შეიარაღებულნი, როგორც უბრალო დემოკრატები. ჩვენ შეიარაღებულნი ვართ და ამავე დროს მშვიდობიანობის მატარებელნიც. სახალხო გვარდიის მიზანია მშვიდობიანობის დამყარება. მუდმივ შეიარაღებული ძალა კი ომებით საზრდოობს. ჩვენთვის იარაღის ხმარება არაა მიზანი, მაგრამ თუ მშვიდობიანობით ვერ მივაღწიეთ მიზანს, მაშინ იარაღს ვკიდებთ ხელს. ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს. მთავარ შტაბთან არის სახელმწიფო კონტროლის განყოფილება; მისი გამგე აღნიშნავს მხოლოდ წვრილმანებს და მთავარს ვერ ამჩნევს. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ დეფექტებზე, ნაკლზე, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს ნაკლი შედარებით თანდათან მცირდება და მალე მინიმუმამდე მივა.

თფილისის პროლეტარიატის უმაღლესმა ორგანომ, მუშათა დეპუტატების საბჭომ დაიწყო მუშების შეიარაღება. მას აზრად ჰქონდა შექმნა ისეთი ძალა, რომელიც შეებრძოლებოდა ყველას, ვინც რევოლიუციის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ჩვენ იარაღი ავიღეთ და რომ ეს გზა არ აგვერჩია, ეხლა ჩვენ სისხლში ვიქნებოდით გახვეულნი, კონტრ-რევოლიუცია გაიმარჯვებდა. რუსეთი იმიტომ დაიღუპა, რომ იქ ნამდვილი დემოკრატია უიარაღო დარჩა. განა ჩვენში კონტრ-რევოლიუცია არ არის? განა ჩვენში ყოფილი გაბატონებული კლასები უარს იტყვიან თავის პრივილეგიებზე? საფრანგეთში ეს არ მომხდარა. თავად-აზნაურობას ბრძოლა შეუძლია, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ მას წითელი ხმალი დაამარცხებს. პირველად შეიარაღებაზე იფიქრა საქართველოს მოწინავე დემოკრატიამ, თფილისის დემოკრატიამ. პირველად ეს საკითხი დაისვა თფ. მუშათა საბჭოში და გადასწყდა საბჭოს წევრების შეიარაღება, მაგრამ თანდათან რთულდება ჩვენი მდგომარეობა. პირველი იარაღი, რომელიც იშოვა მუშათა კლასმა, ეს იყო ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოდან გამოტანილი იარაღი, მარტის დასაწყისს. 5 სექტემბერს ნაძალადევის მუშებს ჩვენ მივეცით 40 თოფი. ეს იყო პირველი ნაბიჯი. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ საკითხის გადაჭრა უბრალოდ არ შეიძლებოდა, ამიტომ დაარსდა საზოგადოებრივ თავდაცვის კომისია. ამან შეაიარაღა მუშათა ნაწილი, რომელსაც დაერქვა: „მუშათა შეიარაღებული მილიცია". მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ მხოლოდ ნაწილის შეიარაღება არც შეიძლებოდა და ცოდვაც იყო. ჩვენ უნდა შეძლებისამებრ ყველა რევოლიუციონერებისათვის მიგვეცა იარაღი და ასე ერთგვარი ორგანიზაცია შეგვექმნა. ამ ორგანიზაციას ჩვენ დავარქვით წითელი გვარდია. შემდეგ ეს ორგანიზაცია სახელმწიფოს დაუმორჩილეთ კანონმდებლობითი გზით და დავარქვით სახალხო გვარდია. გვარდიელთა პატარ-პატარა რაზმები, ცენტრის მერე, პროვინციებშიც გაჩნდნენ: ქუთაისში, ყვირილაში, კახეთში, გორში, სამტრედიაში, მაგრამ ეს ცალკე რაზმები იყო, რომლებთაც ერთი შემაკავშირებელი სათავე არ ჰქონდათ. ჩვენ თავიდანვე ვგრძნობდით, რომ ასეთი მდგომარეობა ასუსტებდა ჩვენ ძალებს და აუცილებელი იყო ძლიერი ცენტრის შექმნა. თფილისში ყველაზე მეტის რიცხვით მუშები[illegible] [illegible] [illegible] ფილიყო, თფილისის პროლეტარიატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ვერ იარსებებდა. რომ მუშათა დეპუტატები საბჭო არ ყოფილიყო, საქართველოში რეაქცია იქნებოდა. და მთელი სახალხო გვარდიის ღვაწლი ისაა, რომ მან თავისი სისხლით ააშენა ეს რესპუბლიკა. მაგრამ როგორია სახალხო გვარდიის ისტორია ამ ორიოდ წელიწადში? ჩვენ ეხლა უფრო მეტი ზარბაზნები გვაქვს, ვიდრე მაშინ თოფები გვქონდა. ჟანდარმების შემდეგ, რკინის გზის კომიტეტმა 300 თოფი მოგვცა. მერე ლეგალურად გამოვიტანეთ არსენალიდან 500 თოფი, რომლებიც ჩვენთვის უვარგისი იყო. პირველი უდიდესი ფაქტი გვარდიის ისტორიაში იყო, არსენალის აღება. 300 მუშამ აიღო არსენალი, ეს იმ დროს, როდესაც თფილისში იყო 15—20 ათასი მობოლშევიკო ჯარისკაცი. მაგრამ მათ 300 მუშების წინააღმდეგ ვერ გამოილაშქრეს, რადგანაც ეს იქნებოდა მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ გალაშქრება. არსენალის აღება იყო ჩვენი უდიდესი მორალური და პოლიტიკური გამარჯვება ანარქიაზე. პირდაპირ სასწაული მოხდა, რომ თფილისი და ჩვენი რკინის გზები ფრონტიდან დაძრულმა ბოლშევიკურმა ჯარმა არ გაანადგურა, თუმცა ბევრი ამხედრებდა მათ ჩვენ წინააღმდეგ. ეუბნებოდნენ, რომ თბილისი შედგარია და იქ კონტრ-რევოლიუციური მთავრობაა. როდესაც ყარსის პოლკი გვემუქრებოდა, ჩვენ მათ წინააღმდეგ ჩავაყენეთ 46 წითელგვარდიელი. პოლკმა ვერ გაბედა გამოლაშქრება. გვარდიამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა განადგურებას. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ის არის საუკეთესო ნაწილი ჩვენი დემოკრატიის და მთელი დემოკრატიის წიაღიდან იკრეფს ის თავის ძალ-ღონეს.

მრავალი შავბნელი დღე უნახავს ჩვენ ქვეყანას. ამ კრიტიკულ მომენტებში გვარდია იყო ჩვენი ქვეყნის გუშაგი. სანამ იარაღს მიმართავდა, ის იდეურ გავლენას ახდენდა მოწინააღმდეგეზე და თუ ეს საშუალება არა სჭრიდა, იმ შემთხვევაში ჰკიდებდა გვარდია იარაღს ხელს. თფილისში მეტად გამწვავებული იყო თათრის მოედანზე სომეხ-თათართა ურთიერთობა. გვარდიამ აშორა სისხლის ღვრა ქალაქს. თფილისი რომ განადგურებულიყო მთელი სახელმწიფოც განადგურდებოდა.

ჩვენ ვერ ჩამოვთვლით ყველაფერს, რაც გვარდიამ გააკეთა. უკეთესი დრო დადგება და ამის შესახებ წიგნს გამოვცემთ. მე მხოლოდ სახელებს დავასახელებ. არსენალის აღების შემდეგ სახალხო გვარდიამ იარაღი აჰყარა გორში გახულიგანებულ სალდათებს, რომლებიც გლეხთა და მუშათა საბჭოს ემუქრებოდნენ. შემდეგ ქუთაისში 2 პოლკს ავყარეთ იარაღი. მერე თელავისკენ გავეშურეთ, სადაც მერვე პოლკი უწესოებას ახდენდა. შემდეგ დუშეთში ავყარეთ იარაღი ცხენოსან პოლკს. აქედან გავეშურეთ სადახლოში, იქ 600 კაცი ვიყავით და დიდი ბრძოლა გადავიტანეთ. სადახლოდან ცხინვალისაკენ გავეშურეთ. ეს ექსპედიცია ორ კვირას გაგრძელდა და მსხვერპლიც იყო ჩვენგან, რის შემდეგ დავამყარეთ წესიერება. შემდეგ საჩხერიდან გავეშურეთ ბათუმის დასაცველად, მაგრამ სამტრედიაში არ ავსულიყავით, რომ მოგვივიდა ცნობა: ბათუმი 1 აპრილს აიღესო. ჩვენ მივედით მდ. ოჩხამურზე. იქ მოგროვდა გვარდიის პროვინციელი ნაწილები, იქ ბრძოლა მოვიგეთ და ვიხსენით ბათუმის ეპოპეა სირცხვილისაგან.

როდესაც განადგურებას გვიქადდა ოსმალეთი, მთელი საქართველო ფეხზე დადგა. სამეგრელოშიაც ტარდებოდა მობილიზაცია, მაგრამ იქ გაჩნდნენ ბოლშევიკები და უთხრეს ხალხს: მენშევიკები გატყუებენ, თათრები არ გვებრძვიანო. ჩვენი რაზმები ბოლშევიკების წინააღმდეგ გაეშურა სამეგრელოსკენ. ეს ვაჟბატონები ეხლა გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ და ხალხს ეუბნებიან, რომ თათრის გამარჯვება სოციალდემოკრატების ბრალი იყოო! თათრები ჩვენ წინააღმდეგ მოდიოდნენ. ჩვენ მათ ვებრძოდით და ვაგროვებდით ჩვენ ძალებს გადამწყვეტ ბრძოლისათვის. ამ [illegible] [illegible] არაა, ესენი იყვნენ შეგნებული, ან შეუგნებელი აგენტები ოსმალეთისა. ჩვენ მივატოვეთ ბათუმის ფრონტი და გადავედით სოხუმის ფრონტზე. ბოლშევიკები ჯერ არ დაგვემარცხებინა საბოლოოდ, რომ ცნობა მოვიდა, ოსმალები თფილისს უახლოვდებიანო. ჩვენ აქეთ გამოვეშურეთ. ტაბახმელასა და შავნაბადთან გვქონდა მაშინ ფრონტი! ეხლა ფრონტი შორს გვაქვს, მაშინ კი ასეთი საშინელი მდგომარეობა იყო! ჩვენ შეტევაზე გადავედით. აქ პირველად მოქმედებდა ერთად ჯარი და გვარდია. დავამარცხეთ მტერი. არ იყო გათავებული აქ ომი, რომ ცნობა მივიღეთ, დუშეთის მაზრაში აჯანყებაა და აჯანყებულები მცხეთას უახლოვდებიანო. ჩვენ მორიგება გვინდოდა, მაგრამ ბოლშევიკებმა მორიგება დაარღვიეს და ჩვენ იარაღით დავამყარეთ წესრიგი. ამ დროს მეორე ნაწილი ჩვენი გვარდიის ებრძოდა ოსმალების დესანტს აფხაზეთში, სადაც 400 ასკერი გადმოსხა მოღალატე ალექსანდრე შერვაშიძეს. ჩვენ 60 კაცს სასიკვდილო ბრძოლა მოუხდა მოქვის მონასტერში. აქ საუკეთესო ამხანაგები მოგვიკლეს, მაგრამ დავამარცხეთ მტერი. დუშეთის მერე ტუაპსისაკენ გავემგზავრეთ. ჩვენთვის შინაური ფრონტი ყველაზე უფრო საშინელი იყო. მალე გაგვიჩნდა გარეშე ფრონტი. ეს იყო ალექსეევის შავი ძალები. ალექსეევი მოვიდა, როგორც ბოლშევიკების მემკვიდრე. გამართლდა ირ. წერეთლის სიტყვები: ბოლშევიკებმა ჭიშკარი გაუღეს რეაქციას. ეს ფრონტი ჩრდილოეთის რეაქციის წინააღმდეგ დღესაც გვაქვს. დეკემბერში მოგვიხდა სომხეთთან ომი. ჩვენ ეს ომი არ დაგვიწყია. არ გვინდოდა ის, მაგრამ თავზე მოხვეულ ომში ჩავებით და მტერი დავამარცხეთ. უდიდესი გამარჯვება ეკატერინენფელდში მოვიპოვეთ. ამ ბრძოლაში დაიღუპა მთავარი შტაბის წევრი სანდრო მაისურაძე (ყრილობა ფეხზე დგება). ამის შემდეგ ჩვენ სხვა ფრონტებიც გვქონდა, როგორიცაა ახალციხის, საჩხერის, ლეჩხუმის! ეხლა გვაქვს ფრონტი დენიკინის წინააღმდეგ. ჩვენი დევიზია: ან სიკვდილი, ან გამარჯვება! და ამ დევიზით ვმოქმედობთ ეხლაც. ჩვენ პრაქ-

# დღეს

საზავო კონფერენციამ უნგრეთისადმი საზავო პირობები უკვე გამოიმუშავა. პირობებს წარუდგენენ მხოლოდ მაშინ, როცა უნგრეთში მკვიდრი მთავრობა შესდგება.

რახან თავი და თავი უკვე სისრულეში არის მოყვანილი, სამშვიდობო კონფერენცია შესცვლის, როგორც თავის შემადგენლობას, ისე მუშაობის წესს.

**სირიის საკითხში შეთანხმება მოხდა. ფიუმეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.**

**ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ბოლშევიკებმა დაიკავეს ბლაგოვეშჩენსკოე.**

**ბოლშევიკებმა ჩერნიგოვის მიმართულებით პ. ნეჟინი დასტოვეს.**

**სამხრეთის ფრონტზე ბოლშევიკ-დენიკინელებს შორის ცხარე ბრძოლაა. კრონშტადტს ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს უშენენ.**

**ესტონია-რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება სწარმოებს.**

ტიკულად დავრწმუნდით, რომ დენიკინს ბრბოები ჰყავთ. ჩვენ ბრძოლა გვქონდა მათ საუკეთესო ნაწილებთან, რომლებიც აფიცრებისაგან შესდგება: კავკასიის პოლკთან და პარტიზანულ პოლკთან და დავრწმუნდით, რა „ჯარებიც" ყოფილან ისინი.

მე ავღნიშნე მთავარი ფრონტები, მაგრამ არის კიდევ წვრილმანი ფრონტები, სადაც ჩვენ ვიბრძოდით. ჩვენ მუდამ ბრძოლაში ვიყავით. ჩვენი გვარდიის ორგანიზაციაც ამ ბრძოლებში ეწყობოდა. ამ მხრივ ჩვენი გვარდია ჩვენ რესპუბლიკას წააგავს. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში გვინდოდა ყრილობა მოგვეწვია, მაგრამ ვერ ვახერხებდით და აი ეხლა ძლივ ვახერხებთ. ჩვენ ცუდ პირობებში ვართ. ის კი არაა საკვირველი, რომ ჩვენ ნაკლი გვქონდეს, არამედ ის, რომ ამ ჯოჯოხეთურ პირობებში ამდენი კარგი თვისებები გვაქვ! განსაკუთრებულ პირობებში შევქმენით ჩვენ ის, რაც გვაქვს. ძვირად დაგვიჯდა ჩვენი გამარჯვებები: სახალხო გვარდიას ბრძოლის ველზე დაეხოცა 197 კაცი, დაჭრილი და დაავადმყოფებულია 2,729. ფეხზე მოსიარულე ავადმყოფები 25,483 კაცი. ასეთი მსხვერპლი გაიღო გვარდიამ. როგორ იზრდებოდა ჩვენი ძალები? არსენალის აღების დროს 300 ძლივს იყო, სომხეთთან ომში სახალხო გვარდიამ 5,000 კაცი გაგზავნა, ახალციხის ფრონტისკენ 4,000. ეს ციფრები მინიმალურია. რეზერვში ჩვენ მუდამ გვრჩება ნაწილები, რამოდენიმე ათასები. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია გავამრავლოთ ძალები. ჩვენ საზღვარი არა გვაქვს და ამ მხრივ ჩვენი ძალები ამოუწურველია. რასაკვირველია ამ ძალას ფული სჭირდება შესანახად, მაგრამ მუდმივ მილიტარულ სისტემასთან შედარებაც არ შეიძლება. სახალხო გვარდიაზე სულ დახარჯულია 66 მილიონი მანეთი. ამ დროს განმავლობაში მუდმივ ჯარზე 400 მილიონი. ეკონომიას დიდს ვწევდით. როცა გვარდიელი ბრუნდება ფრონტიდან, ის ისევ გუთანსა ჰკიდებს ხელს, ან და ქარხანაში მიდის და ჰქმნის ნაწარმოებს. ტანსაცმელი სულ დაიხარჯა 46 ათასი კომპლექტი. რაც შეიძლება მეტი ეკონომია—ესაა ჩვენი სამოქმედო ლოზუნგი.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ვინ გვშობა ჩვენ და ის არასოდეს დავივიწყოთ და ოდნავადაც არ მოვსწყდეთ ჩვენ დემოკრატიულ ოჯახს. ჩვენ, მართალია, შეიარაღებულნი ვართ, მაგრამ უნდა ვიმუშაოთ სახელოსნოებში ფრონტზედაც კი, როცა მოცლილნი ვართ. ჩვენ დავაარსეთ ამ მიზნით სახელოსნოები, სადაც დავამზადეთ უკვე 25 ათასი ფეხსაცმელი, 12 ათასი ტანისაცმელი და 4 ათასი ქუდი. ტყავების დასამზადებელი ქარხანაც გვაქვს. ეს, რასაკვირველია, წვეთია ზღვაში. ამ მხრივ მიმართულია ყურადღება მთავარი შტაბის. ჩვენ ეხლა ინგლისელებისაგან ჯორები შევიძინეთ და მუშაობას გავაჩაღებთ. ასეთია მოკლედ ჩვენი ისტორია. დაწვრილებით ჩვენი ორგანიზაციის შესახებ შტაბი პროექტს წარმოგვიდგენთ და იმას გავარჩევთ მუხლობრივ. სახალხო გვარდია ყველაფრით ძლიერია მანამ, სანამ კავშირი აქვს დემოკრატიასთან, უძლური გახდება, თუ ეს კავშირი გაწყდა. მაშინ განადგურდება შეიარაღებული ძალა, ჩვენი სახალხო გვარდია. (მქუხარე ტაში).

შემოდის წინადადება კამათის საღამოს სხდომისთვის გადადებისა, რაც მიღებულ იქნა.

# წერილები ბერლინიდან

ამ წერილით მე მიზნათ მაქვს დასახული ქართველ საზოგადოებას კერძოდ და საერთოდ მშრომელ ხალხს რამდენათაც შევძლებ, სწორი ცნობები მივაწოდო გერმანიის დღევანდელ მდგომარეობაზე: ეკონომიურ საშუალებებზე, მუშათა და აგრეთვე სხვა და სხვა დღიურ საჭირბოროტო საკითხებზე.

გერმანიის რევოლუციაზე დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში ბევრი იწერება და, დარწმუნებული ვარ, ჩვენშიაც ყურადღების ღირსი იქნება. ამ წერილში უფრო დაწვრილებით ცნობებს მოვიყვან ბერლინის ცხოვრებიდან, რომ მკითხველმა ერთნაირი მთლიანი სურათი შეადგინოს გერმანიის შინაურ მდგომარეობის.

1

გასული წლის 9 ნოემბერი გერმანიის დიდი რევოლუციის დასაწყისად ითვლება. ამ დღიდან გაუქმებულად გამოცხადდა ჰოჰენცოლერნების დიდი ხნის ბატონობა, მონარქია დაემხო—დემოკრატია მართვა გამგეობის სათავეში მოექცა. ვილჰელმისა და ლუდენდორფების რეზიდენციათ ქ. ბერლინი ითვლებოდა აქ ჰქონდათ მათ თავიანთი მთავარი საბუდარი, სასახლეები გაშენებული და კოშკები ამართული, რომლებზედაც ჯერ კიდევ ბისმარკის რკინის ხელებით ამართული ნაციონალური დროშები ფრიალებდნენ.

ცხრა ნოემბრიდან გერმანიამ ფერი იცვალა: ნაციონალური დროშები ყველგან მშრომელთა სისხლით შეღებილი წითელი დროშებით შეიცვალა; მეფის სასახლეებში მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებმა სხდომები გამართეს; ბეტმან ჰოლვეგის ტრიბუნიდან ებერტ შეიდემანმა გერმანიის მშრომელ ხალხს აუწყეს, რომ ომს ბოლო მოეღო, ბოლო მოეღო აგრეთვე ჰოჰენცოლერნების, ლიუდენდორფ-გინდენბურგის უპასუხისმგებლო მბრძანებლობას; ხალხი სუვერენულ უფლებებით უნდა აღიჭურვოს და თვისი საქმეები თვით უნდა განაგოს.

ხალხის მოჰირნახული და თავისუფლებისათვის მებრძოლი სოციალ დემოკრატია გაუძღვა ახლად დაწყებულ გერმანიის საქმეებს დროებითი მთავრობის სახით, სანამ დამფუძნებელი კრება შესდგებოდა.

აქ უნდა ითქვას, რომ ვისაც გერმანიაში ცოტახანს მაინც უცხოვრია და თვალყური ედევნებია მის შინაურ ცხოვრებისთვის, მისთვის აშკარა იქნება, რომ ისე ადვილად მონარქიის ფესვების ამოთხრა იოლი საქმე არაა. მართალია, ხალხის უმრავლესობა დღეს რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობისკენაა, მაგრამ ძლიერია აგრეთვე პრუსიის იუნკრობა, რომელსაც ასი წლობით ფესვი ღრმად გადგმული აქვს. გერმანია ძლიერ მილიტარისტულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და ხალხიც ამ ნიადაგზე ჰყავდათ აღზრდილი. მთელი გენერლობა, აფიცრობის უმრავლესობა, იუნკრობა აშკარად მონარქისტულ პროპაგანდას ეწეოდენ რევოლუციის დაწყების დღიდანვე. უკანასკნელი ბრძოლა მათსა და რესპუბლიკანელთა შორის კიდევ არ დამთავრებულა. ერთად [illegible] ძირის გამოთხრა და სრული დემოკრატიული და სოციალისტური რესპუბლიკის აშენება. თითქმის მთელი სახელმძღვანელო ლიტერატურა, თეატრი და კი ემატოგრაფები, სკოლის კედლები და საკრებულო დარბაზები—ჰოჰენცოლერნებისა, ბისმარკისა და გრაფების სახლები ბიუსტებით მოქედილი და მოწყობილია. რაც საუკეთესო ძალებია და მთავარი ქუჩები ბერლინში მეფეების და გრაფების ძეგლებითაა გავსებული. მრავალი ეკლესიები მათ სახელზეა აშენებული და ეხლაც წირვა-პარადებს უმართავენ. ეხლაც მრავალი „ევროპიულად განათლებული ქალები" იცრემლებიან, როცა ამ ძეგლებს გაუვლიან გვერდზე. დღევანდელი „რესპუბლიკანური ჯარის" ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა მინისტრებისაგან შესდგება. მაგრამ მათდა სამწუხაროდ მონარქები აკლიათ, რომლებიც თვით ვერ გრძნობენ თავს მმართველად.

სოციალდემოკრატიული პრესა და მთელი ორგანიზაცია დიდ პროპაგანდა აგიტაციას ეწევა ჯარში, რომ რამენაირად შეადგინონ რესპუბლიკანურ აფიცერთა კავშირი, მაგრამ ჯერჯერობით ძლიერ მცირე შედეგს მიაღწიეს. 9 ნოემბრიდან ბერლინს მოაწყდა ფრონტიდან შეიარაღებული ჯარისკაცნი და მეზღვაურები. რაც დიდი შენობები იყო, მათ დაუთმეს, ქალაქისთვის დანიშნული სურსათ სანოვაგე მათ მოუნდა; ყველა დედა-ქალაქისაკენ მოეშურებოდა და აქ ეძებდა საშოვნელს. არავინ იცოდა მომავალი რას მოიტანდა. მოკავშირეთა ძლევა მოსილმა ჯარმა მდ. რეინის იქითა ნაწილი დაიკავა, ზაარის ქვა-ნახშირიან რაიონს დაეპატრონა და კიდევაც იმუქრებოდა. ქ. ბერლინს ფერი ეცვალა: ქუჩები ჯარისკაცებით მოიფინა, რომლებიც მკერდზე წითელ ბანტებით იყვნენ დამშვენებულნი. ყველა რაიონებში მასიური კრებები გაიმართა, სადაც მთავრობისაგან ბევრ რამეებს მოითხოვდნენ. პოლიტიკური პარტიები ახლად ჩამოსულ სტუმრებს ყველანი თავისკენ იწვევდნენ. ქალაქში მთელი ხალხი შეიარაღებული იყო, წეს-რიგის დაცვა გაძნელდა. ბლოკადით დამშეულ გერმანიას სურსათი წესიერად ჰქონდა დანაწილებული, რომელიც თითქმის გამოილია. ყველანი დაკმაყოფილებას თხოულობდნენ, წარმოებაზე მუშაობაზე კი არავინ ზრუნავდა. ინგრის პირველამდე ისეთი სიტუაცია შეიქმნა ბერლინში, რომ დროებითი მთავრობა ძლიერ უხერხულად გრძნობდა თავს და გამოსავალ გზას ვეღარ პოულობდა, ამიტომ დააჩქარა დამფუძნებელი კრების მოწვევა.

იანვრისა და მარტის ტრიალი, რომელიც ბერლინში დატრიალდა, შორიდან მაინც ეცოდინება ჩვენ საზოგადოებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა ათასიანთა ურიცხვი მსხვერპლი მილიარდობით ქონების დაღუპვა, ხალი შენობების დანგრევა და ძარცვა-გლეჯა. უკანასკნელ ხანებში პოლიტიკური გამოსვლები, დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციები, მასიური გაფიცვები, უმუშევართა არმიის ზრდა და სხ. საგრძნობი შეიქნა. რა იყო ამის მიზეზი?

X

# ჰასკელის წინადადება სომხეთის მთავრობისადმი

პოლკ. ჰასკელმა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი [illegible] გაუგზავნა:

ამასთანავე გიგზავნით იმ პირობებს, რომლის საფუძველზე უნდა შეიქმნას ნეიტრალური ზონა შარურ-დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრებისაგან.

ამ საკითხზე მსჯელობა ჰქონდათ 1919 წ. 29 აგვისტოს პოლკ. ჰასკელს და ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს. მოხდა შემდეგი შეთანხმება:

1) შარურო დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრაში დამყარებულ უნდა იქნას ნეიტრალური ზონა.

2) ნეიტრალური ზონის მმართველობა უნდა მიენდოს ამერიკის გენერალ გუბერნატორს, რომელსაც პოლკ. ჰასკელი ნიშნავს.

3) ადგილობრივი მმართველობა იქნება თათრული, გარდა იმ რაიონებისა, სადაც უმრავლესობას სომხები შეადგენენ. გენერალ-გუბერნატორს ევალება ასეთი ადგილების გამორკვევა.

4) სომხეთის და ადერბეიჯანის მთავრობებმა დაუყონებლივ უნდა გაიყვანონ ნეიტრალური ზონიდან თავიანთი ჯარები. ამასთან არც ერთი ჯარის ნაწილი არ უნდა დაბრუნდეს ნეიტრალური ზონაში, თუ ის გამოწვეული არ იქნება გენერალ-გუბერნატორის მიერ.

5) სომხეთის და ადერბეიჯანის მთავრობებმა დაუყონებლივ უნდა გაიწვიონ ნეიტრალური ზონიდან თავიანთი აგენტები და სხ. პირები, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივ მცხოვრებთა აღელვებას.

6) ადერბეიჯანმა და სომხეთმა უნდა გამოაცხადონ საყოველთაო ამნისტია. [illegible] უნდა შეიწყალდეს ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილი აქვთ ამ პირთა წინააღმდეგ 1919 წ. 1 სექტემბრამდე.

7) ნეიტრალურ ზონაში ადგილობრივ მოსამსახურეებს ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი.

8) ადერბეიჯანის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს თათარ მცხოვრებთა დასამშვიდებლად ნეიტრალურ ზონაში და ერევნის მაზრაში.

9) სომხეთის მთავრობამ მთელი თავისი გავლენა უნდა მოიხმაროს სომეხ მცხოვრებთა დასამშვიდებლად ნეიტრალურ ზონაში და ზანგეზურში.

10) სომხეთის და ადერბეიჯანის მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ სიცოცხლე და ქონება თავიანთ საზღვრებში მცხოვრებ თათრების და სომხებისა.

11) რკინის გზის ხაზი ერევანსა და სპარსეთის საზღვარს შორის, რომელიც გადის შარურო დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრებზე, უნდა აღდგენილ იქნეს [illegible] ტრანსპორტი და ხდებოდეს მით სარგებლობა. ეს რკინის გზის ხაზი უნდა ექვემდებარებოდეს ამერიკის გენერალ გუბერნატორის კონტროლს და უნდა მოქმედებდეს, როგორც ნაწილი სომხეთის რკინის გზის სისტემისა სომხურ-თათრული შემადგენლობით.

12) ადერბეიჯანის მთავრობა თანახმაა ყველაფერით შეამსუბუქოს სასურსათო საქმე შუშისა და ზანგეზურის რაიონების მცხოვრებთათვის.

13) ადერბეიჯანის მთავრობა თანახმაა მიიღოს ყოველგვარი ზომები და მისცეს გადასაზიდი საშუალებანი იმ სომხის ლტოლვილებს, რომლებიც იმყოფებიან ადერბეიჯანის ტერიტორიაზე და რომელთა გადაყვანასაც აუცილებელ საჭიროებად დაინახავს უმაღლესი კომისარი.

14) შერუქედის მუსულმანი მცხოვრებლები ამერიკის გენერალ გუბერნატორის ჩვენებით გადაყვანილ იქნება ნეიტრალური ზონის სხვა სოფელში. მას მიეცემა საშუალება წაიღოს თან მთელი თავისი ქონება.

15) ბაქო ჯულფის რკინის გზა, რომელიც ეხლა კეთდება, და ექვემდებარება მხოლოდ და მხოლოდ ადერბეიჯანის მთავრობას და არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მის აშენებაში.

16) სომხეთისა და ნეიტრალური ზონის საზღვარად იქნება ის ალაგი, რომელიც ეწოდება „მელის კარები".

17) ნეიტრალური ზონის მართველობას საშუალებად უნდა ჰქონდეს ადგილობრივი გადასახადები დამატებით თანხას უნდა აძლევდეს ადერბეიჯანის მთავრობა ამერიკის გენერალ-გუბერნატორის კონტროლის ქვეშ.

18) სკოლები და ეკლესიები ნეიტრალურ ზონაში უნდა მოქმედებდნენ ჩვეულებრივი წესით ადგილობრივი მთავრობის კონტროლის ქვეშ.

19) ნეიტრალურ ზონაში უნდა ბატონობდეს სინიდისის თავისუფლება.

20) სასურსათო დახმარება მიეცემა იმათ, ვისაც, გუბერნატორის აზრით, ყველაზე მეტათ საჭიროებს ამას, იმის და მიუხედავათ, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნის ის.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 სექტემბერი.

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი სექ. 18. არიოლი სექ. 17.** ინგლისელების მიერ გადმოტვირთულ იარაღს მწვანე არმია თავს ესხმის. ყუბანის და შავი ზღვის ოლქებში მწვანე არმიელთა რიცხვი 35 ათასამდე აღწევს. გავრცელებულია ხმა, რომ დენიკინმა ინგლისელებს პირობით შეჰკრა, რომლისაც უკანასკნელს ნება ეძლევა გაზიდოს 18 წლის განმავლობაში რაც ზედმეტი პური მოვა. ამ ნიადაგზე გლეხებსა და ინგლისელთა შორის შეტაკებებიც ხდება. ინგლისელები ფიქრობენ ყირიმსა და მთელ კავკასიის და დონის მრეწველობას დაეპატრონონ. ქვანახშირი ცოტა მზადდება. დეზერტირების ჭერა როსტოვში ჯერ არ შეწყვეტილა. ღებულობენ ზომებს იმ აფიცრების წინააღმდეგ, რომლებიც ზურგს უკან სანგრებში არიან გამაგრებული. ნოვოჩერკასკის ახლოს კონცენტრაციულ ბანაკში ათასამდე წითელ არმიელი ტყვეა სხვა და სხვა ბარაკებში მოთავსებული. ტყვეებს ხოლერისაგან დახოცილთათვის საფლავს ათხრევინებენ. კვებავენ ძლიერ ცუდათ. სლავიანის, ბრესოვის, მედვედოვის ბთაინის და სხვა სტანიცების მცხოვრებლები მტრულ განწყობილებაში არიან დენიკინთან. კლენჯიკის რაიონში აჯანყებულთა რაზმი მოქმედობს.

**ლონდონი, სექ. 16.** ირლანდიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა პარიჟში განაცხადა, რომ მიუხედავათ ბრიტანეთის მთავრობის მიერ გამოშვებულ მოწოდებისა, ირლანდიის რესპუბლიკის არსებობა ფაქტია. ირლანდიის მცხოვრებთა თვალში ეს რესპუბლიკა ერთად ერთი კანონიერი მთავრობაა. მცხოვრებთა მეოთხედზე მეტი მას მხარს უჭერს და მზათ არის მისი მოწოდებები სისრულეში მოიყვანოს.

**მოსკოვი, სექ. 14.** როგორც ლონდონიდან იუწყებიან იქ ებრაელებმა დემონსტრაცია მოაწყეს პოლონეთში ებრაელების დარბევის პროტესტის ნიშნად. დემონსტრაციაში 15,000 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. „ფორვერტსი" თხოულობს რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყონ ზავის ჩამოსაგდებათ. გერმანიას უფრო ნაკლები საბაბი აქვს, ვიდრე პოლონეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა აწარმოოს. სამხედრო მოქმედების შეწყვეტა ერთნაირად შეესაბამებოდა როგორც საბჭოთა რუსეთის ინტერესებს, ისე გერმანიისას. **ბელოსტროვი, სექ. 13.** გაზეთ „ნეიეს ვინერ ტაგებლატს" ბუდაპეშტიდან აუწყებენ, რომ ყველა ის, ვინც მონაწილეობას იღებდა რევოლუციის მომზადებაში ან საბჭოთა მთავრობას მხარს უჭერდა, პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული. ბუდაპეშტში 3500 კაცი დააპატიმრეს, პროვინციაში კი—13,000. მათ წინააღმდეგ ბრალდებები იქნება წამოყენებული.

**ლიონი, ენკ. 17.** ბრიტანიის ჯარმა თავის ხელში აიღო ანატოლიაში ადანა-კონიის რკინის გზის კონტროლი. ოსმალოს ჯარი აღმოსავლეთით მიიწევს.

**ლიონი, ენკ. 17.** ორშაბათს ლიონის ერთ რაიონში გაიხსნა შრომის საერთო კონფედერაციის კონგრესი. კონგრესს დაესწრნენ—არგენტინის, ჰოლანდიის და ბელგიის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები. წარმომადგენლები ჰყავთ აგრეთვე ინგლისის პროფეს. კავშირებს. დღის წესრიგში შემდეგი კითხვებია: სოციალისტურ-ეკონომიური გარდაქმნა, სასკოლო რეფორმა, მუშათა კანონმდებლობა და სხვა.

**ლიონი, ენკ. 17.** უნგრეთის საზავო პირობები უკვე გამომუშავებულია, პირობებს წარუდგენენ მხოლოდ მაშინ, როცა უნგრეთში მკვიდრი მთავრობა შესდგება. რახან თავი და თავი უკვე სისრულეში არის მოყვანილი, სამშვიდობო კონფერენცია შესცვლის როგორც თავის შემადგენლობას ისე მუშაობის წესს. მოკავშირეთა გაზეთები იუწყებიან რომ ჰოლანდიის წინადადება მიეცა, რათა მან ნება დართოს ბელგიის სამხედრო გემებს თავისუფლად იარონ მდინარე შელდაზე და დაანგრიოს ნაპირად არსებული სიმაგრეები.

**პსკოვი. ენკ. 17.** დღეს საღამოს 7 საათზე გაიხსნა ესტლანდიასთან ზავის ჩამოგდების შესახებ კონფერენციის სხდომა. ესტონიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ჯერ არ მიუღიათ მთავრობისაგან საჭირო ქაღალდები, ამისთვის ითხოვეს სხდომა მეორე დღისთვის გადაედოთ. ამხ. კრასინის შეკითხვაზე ესტონიის დელეგაციის თავმჯდომარემ ადო ბირკმა უპასუხა, რომ ყოველ შემთხვევაში ხვალ დილით ესტონიის დელეგაცია მისცემს რაიმე პასუხს. ამხ. ლიტვინოვის წინადადებით სხდომა სწყდება. კრასინმა სიტყვის დროს განაცხადა: საბჭოთა მთავრობა თანახმაა ზავი შეჰკრას შემდეგ საფუძველზე: ხალხის თვითგამორკვევა და ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, რადგან საკმარისად გამოირკვა, რომ საბჭოთა რუსეთის დასამარცხებლად სუსტი გამოდგენ მოკავშირეები, რომ იუდენიჩის ავანტიურა დამარცხდა, რომ კოლჩაკი განადგურდა, დენიკინს ისეთივე ბედი მოელის და რომ საბჭოთა მთავრობამ ნახა შესაფერი მომენტი პატარა სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად.

**ხარკოვი. ენკ. 13.** დამშეულ გუბერნიებში პურის გაგზავნა დაიწყეს. **ტამბოვი. ენკ. 17.** სექტემბრის პირველ რიცხვებში წითელ არმიის ოჯახებს ნახევარი მილიონი „პაიკი" დაურიგდა, რომლის ღირებულება 30,000000 მანეთის უდრის. 10,000 ოჯახს სამეურნეო დახმარება აღმოუჩინეს. **მოსკოვი. ენკ. 18.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც 600 მანეთი ჰქონდათ ჯამაგირი პირველ ენკენისთვიდან 100 პროცენტი მოემატებათ.

**მოსკოვი. ენკ. 18.** პოლიტეხნიკუმის მუზეუმის დიდ აუდიტორიაში დაიწყო ვიპპერის საქმის გარჩევა, რომელიც მოსკოვის რევ. ტრიბუნალმა პასუხისგებაში მისცა, როგორც ბეილისის საქმის მთავარი ინიციატორი.

**მოსკოვი. ენკ. 18.** სამხედრო ცნობიდან. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენ ბლაგოვეშჩენსკოე დავიჭირეთ. კრონშტადტზე მტრის აეროპლანები კიდევ გამოჩნდენ. ბობრუისკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ისევ მიაღწია მდ. ოლას. ჩვენ ნეჟინი დავსტოვეთ. ნოსოვკის დაჭერის დროს ჩვენ 4 ზარბაზანი ჩავიგდეთ ხელში, ჩვენ ქ. სუჯა დავტოვეთ. [illegible] რაიონში ჩვენ მდ. დონის მარჯვენა ნაპირზე გადავედით. კურგანის რაიონში ჩვენ ლოპატინსკაია დავიჭირეთ. სად. ლებიაჟიეს რაიონში ჩვენი ჯარი უტევს. იშიმის რაიონში ბრძოლაა.

**თურქესტანის ფრონტი.** დამატებითი ცნობით აქტიუბინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ესკადრონმა ზარბაზანი, 400 ყუმბარა, ლაზარეთი და სხვა სამხედრო საქონელი ჩაიგდო ხელში. აქტიუბინსკიდან 120 ვერსზე, 1200 ტყვე წამოვიყვანეთ. **მოსკოვი, ენკ. 8.** სამხრეთ სლავიანში ბოლშევიკური მოძრაობა იზრდება. კროაციაში, სლოვენიაში, ბოსნიაში და სერბიაში კომუნისტური იაჩეიკები არსდება, გამოდის 8 წითელი გაზეთი.

**პარიზი. ენკ. 18.** „ტიდენე-ჰელსინგფორსე" იუწყება, რომ პსკოვში საზავო კონფერენციაზე რუსებსა და ესტონელებს შორის თათბირი იქნება საზღვრების და სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ. საბჭოთა მთავრობა მზათ არის ესტონიის დამოუკიდებლობა აღიაროს. ჰელსინგფორსში ესტონიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ესტონია არ შეკრავს ზავს, სანამ წინდაწინ მოკავშირეებს და ფინეთს არ მოელაპარაკება. **ველიკიე ლუკი. ენკ. 17.** ვალკში გამოცემული თეთრგვარდიელთა გაზეთი „რაუტუს"-ი სწერს: საბჭოთა მთავრობის მიერ ზავის პირობების წინადადება მიზნათ ისახავს, რომ უფრო შესაძლებელი შეიქნეს სახელმწიფოს განაპირა ადგილებში ბოლშევიზმის გავრცელება. **№-ის არმიის შტაბი. ენკ. 12.** დენიკინის გაზეთი „ნედელიმაია რასია" იუწყება, რომ ყირიმის ნახევარ კუნძულზე ინგლისის გავლენის განვითარება დადებითად გადაწყდა. ახლო მომავალში ოდესა, ნიკოლაევი და ხერსონი, რომელიც საფრანგეთის გავლენის ქვეშ ითვლება, ინგლისის გავლენის სფეროში გადავა, ისე როგორც შავი ზღვის რუსეთის ნაპირები. **კრონშტადტი. ენკ. 17.** დღეს დილის 4 საათსა და 45 წუთზე ფინეთის მხრიდან კრონშტადტზე მტრის ჰაეროპლანები გამოჩნდნენ. მტერმა ოთხი ყუმბარა ჩამოაგდო. პირველი ყუმბარის აფეთქებით დაიწვა ცარიელი ხის სარაი. უკან დაბრუნების დროს ჩვენ ერთი ჰაეროპლანი ძირს ჩამოვაგდეთ. დამარცხებული ჰაეროპლანი „ილია მურომეცის"—ტიპის იყო და ჩვენ ფორტთან ახლოს დაეცა. თეთრგვარდიელთა მფრინავი დაიღუპა.

### ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ გუშინ განაცხადა, რომ არა სასურველ ინცინდენტის თავიდან ასაცილებლად რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს ფიუმეს საკითხი. სამწუხაროდ ამერიკის დელეგაციას ამ საკითხის შესახებ კიდევ არ მიუღია საჭირო ინსტრუქციები, და ამიტომ საკითხი ჯერ კიდევ ვერ გადაწყდება.

სირიის საკითხის შესახებ მოხდა დროებითი მორიგება, რომელსაც კლემანსომ და [illegible] შეთანხმება [illegible] რჩება სანამ [illegible] საკითხში მიიღონ მონაწილეობა. კლემანსოს ალლენბისთან ჰქონდა თათბირი სირიის ოკუპაციის შესახებ. შემდეგ საბჭომ ბალტიის პროვინციების მდგომარეობის შესახებ დაიწყო თათბირი. განიხილეს ფოშის მოხსენება და ფონ დერ გოლცის ჯარის უკან დახევის საკითხი. ბულგარეთის ხელშეკრულებაზე სიტყვაც არ ყოფილა, რადგან ბულგარელებს ხელშეკრულებას მხოლოთ რამოდენიმე დღის შემდეგ ჩააბარებენ.

### გერმანული პრესის ცნობები.

უნგრეთის მთავრობამ გარეშე საქმეთა მინისტრათ ზომბიხი დანიშნა. იულიუს ფონ-პეკა—უპორტფელო მინისტრად, უცხოელ მისიებთან მოსალაპარაკებლად. შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრის ადგილები ჯერ ცარიელია.

მოლაპარაკება გრძელდება იმის შესახებ, რომ აქსელროდი და რადეკი რუსეთს გადასცეს, სამაგიეროთ რუსეთში მყოფი გერმანელები დააბრუნონ გერმანიაში. რადგან გავლა ლიტვის საზღვარზე უნდა მოხდეს, მოლაპარაკება ლიტვის მთავრობასთან სწარმოებს, რომელსაც თავის მხრით მოითხოვს, რომ რუსეთში მყოფი ლიტველებიც დაბრუნებული იქნენ.

ქ. კოლმარში და პოზნანის პროვინციაში დამოუკიდებელთა პარტიამ გერმანიის პარტიასთან შეერთება აღიარა. ამ გვარად ყველა გერმანული პარტიები გერმანიის ყოფილ პროვინციაში—პოზნანში—გაერთიანდნენ.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 ს., ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქართველოს ს. დ. მ. პ. საკანტროლო კომისიის სხდომა.**

◆ **ერობათა წარმომადგენლების ყრილობა** გუშინ წინ საღამოს დამთავრდა ყრილობამ დაარსა ერობათა კავშირი. ამორჩეული იქნა კომიტეტი 9 კაცისაგან შემდგარი. არჩეული არიან: გრ. ლორთქიფანიძე, ის. სტურუა, პ. ქავთარაძე, ს. ჭანტურიშვილი, კ. სულაქველიძე, ლ. შენგელაია, ვ. ცაბაძე, არზაყან ემუხვარი და დ. ონიაშვილი.

◆ **დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შედეგი.** დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შედეგი ასეთია: კრებაში შედის 5 ახალი წევრი. № 5 დან—ს. ფიდიანი, № 8 დან—გ. ვეშაპელი, № 4 დან ზოორიანი, ავეტისიანი და დავითხანიანი. გამოდიან: ს.-დემ. 4. სირბილაძე, ირემაშვილი, ვადაჭკორია და ო. სოლოღაშვილი. ეროვ. დემ. პარ. პ. სურგულაძე.

◆ **საქართველოს რკინის გზები** გამოცხადებულია სამხედრო წესებზე. სამგზავრო მატარებელზე მცველთა რიცხვი გადიდებულია 250 კაცით.

◆ **სომეხთა ეროვნული საბჭო.** პარტიათა შორის შეთანხმებით შესდგა სომეხთა ეროვნული საბჭო. საბჭო შესდგება 52 კ. აქედან დაშნაკ.—12., რ. ს. დ.—8, სომ. სახ. პარტ.—8; ესერები—8; ს. ს. დემ. ჰინჩაკისტები—2; სახლის მეპატრონენი—4; კადეტი—2.

◆ **გუშინ შესდგა** პირველი სხდომა დამფუძნებელი კრებისა კანიკულების შემდეგ. სხდომას დაესწრო დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ოლივერ უორდროპი, რომელსაც თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა და კრებამ ოვაციები გაუმართა. მიღებულ იქნა დეკრეტი საქ. რკ. გზებზე მატარებლებში წესრიგის დასაცავათ არსებულ მცველთა რიცხვის 250 კაცით გადიდების შესახებ.

**სახალხო გვარდიის** პირველი ყრილობის დელეგატთა პატივსაცემად დღეს, 20 სექტემბერს სახალხო სახლში კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის და ლოტბარ ვ. მიზანდარის ხელმძღვანელობით გაიმართება თბილისის სახალხო გვარდიის ორკესტრის ახლად შემუშავებულ ქართულ სიმღერა ჰიმნ-საგალობელთა ვოკალურ ინსტრუმენტალური კონცერტი.

კონცერტი უფასოა. ბილეთების მიღება შეიძლება სახალხო სახლში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **დაჭრილ დასახიჩრებულ და მოკლულ გვარდიელების** ოჯახთა სასარგებლოდ საგუბერნიო ბატარეის გვარდიელებმა შესწირეს 1260 მ.

◆ **ვერის უმაღლეს დაწყებითი სკოლის** პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა ქალებიც მიიღოს ყველა კლასებში სათანადო მოწმობით, ხოლო ვისაც მოწმობა არა აქვს, გამოცდით.

◆ **საქარ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული** კოლექტივი აცხადებს პარტიის იმ წევრთა საყურადღებოთ, რომელთაც არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი დაეჩქარონ და შემოიტანონ პირველ ოქტომბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი მათ პარტიიდან გარიცხულად ჩასთვლის.

## ქრონიკა.

დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია კრე- ჩოჟურეთის ახალ-გაზრდა მარქსისტ- ა ორგანიზაციისა (ქუჩა 19 თებერვლი- , სახლი 9).

— დღეს საღ. 6 საათზე ტრამვა ს რკში დანიშნულია ტრამვაის მოძრაო ის მუშა-მოსამსახურეთა ს. დ. მ. პარ- იის საზოგადო კრება დღის წეს-რიგში ვას განსახილველათ ფრიად საჭირო ა საყურადღებო კითხვები. სთხოვენ წანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

— კვირას, 21 სექტემბერს, დღის 0 საათზე მოწვეულია კოკის მცირე ოლექტივის წევრთა საზოგადო კრება. ხსენებას გააკეთებს დამფ. კრების ავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთა- ძე. შემდეგ განხილული იქნება კო- ექტივის მოქმედების ანგარიში და მო- ხდება კოლექტივის ახალი არჩევნები.

— დღეს, დილის 10 საათზე „ბო- ანდში" დანიშნულია საქართ. პროფე ონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრუ ებელი კომიტეტის, შრომის სამინი როს და სეკრეტარიატის წარმომად- ენლების შეერთებული სხდომა. დღის- რიგში სდგას კითხვა სატარიფო ლატის მუშათა სექციის რეორგანი- აციის შესახებ.

— დღეს, საღამოს 7 ს. პროფესი- ნალურ კავშირების ბინაზე (ყლიაბე- ს ქ № 14 „ბომონდი") დანიშნულია ბილისის სახალხო უნივერსიტეტის საბ ის სხდომა. პროფესიონალურ კავშირ- საბჭოს სეკრეტარიატი და უნივერ- იტეტის გამგეობა სთხოვს ორგანი- აციებს და დაწესებულებების წარმო- მადგენლებს, რომლებიც მოწოდებულნი იან უნივერსიტეტის მართველობის ქმეში, დაესწრონ სხდომას. უწყებები დაეგზავნებათ.

## -ტყის ნიხრის შესახებ

ამას წინათ ერთ-ერთმა ქართულმა ხეთმა გამოაქვეყნა მიწათ-მოქმედების მინისტროს მიერ ტყის მოურავობის- ვის დაგზავნილი წესი ტყით სარგებ- ობისა და მას წინ წაუმძღვარა წერი- , სადაც საქმე ისეა წარმოდგენილი თქო სამინისტრო ფისკალური მიზნით ლაფერს დიდ გადასახადს ადებდეს მით სოფლის მცხოვრებთ აუტანელ გომარეობაში აყენებდეს. ეს, რასა- რველია, სინამდვილეს არ შეეფერება. რთალია აქ მხოლოდ ის, რომ მიწათ- ქმედების სამინისტრო შეძლებისდა- არად ზომებს ღებულობს ტყის გა- ნადგურებისაგან გადასარჩენად. სამწუ- როდ, მცხოვრებთ ჯერ კიდევ არ ეთ შეგნებული ტყის დიდი მნიშვნე- ობა. რევოლუციის დროს, როგორც ვგან, ისე ჩვენშიაც ხალხი შეესია ყეებს და ბევრ ადგილას ის გაჩეხა— ანადგურა. ამ მოვლენას სამინისტრო ბრძოლაც ებრძვის და სასტიკათ სდევ- ს დამნაშავეთ, რომელთაც უმთავრე- ს სოფლის ჩარჩები და მდიდა- წრეები იძლევიან.

ხე-ტყის მასალის ნიხრი უწყებამ გა- ; სხვაფრივ მას არ შეეძლო მოქ- ეულიყო. ყველაფერი ძალზე გაძვირ- . თუ წინათ უწყება დარაჯს თვეში —15 მანეთს ჯამაგირს აძლევდა და კმაყოფილი იყო, დღეს 800—1000 თიდაც ვერ ვშოულობთ შესაფერ რაჯებს. მასთან არ უნდა დავივიწ- ო ის გარემოებაც, რომ თუ ნორმა- რ დროში ტყის მოვლა პატრონობა ევილებული და ერთი დარაჯი 00—5000 დესეტინა ტყეს ადვილად ის, დღეს ორჯერ მეტი რიცხვი ა მცველების, რომ ის განადგურე- აგან გადაარჩინო. ეს გარემოება ევს ხარჯების ზრდას და აქედან მომდინარეობს აუცილებლობა ნიხრის იდებისა. ჩვენი ხაზინა სატყეო ხ რ- ს ხომ სხვა წყაროებიდან ვერ დაფა- ს. პირიქით, მომავალში საქართვე- ს მდიდარი და ძვირფასი ტყეები ოსავლის ახალ წყაროდ უნდა გადა- ნ ფინანსიურად სუსტ რესპუბლი- ათვის.

ოუხედავად ყოველივე ამისა ნიხრის და მაინც არ შეეფერება პირველ სა- როების საგნებზე ფასების გადიდებას ველივე საგანი ასჯერ და მეტადაც ვირებულია. შეშისა და საზოგადოთ ტყის მასალის ნიხრი დაახლოვებით ჯერაც არ არის გადიდებული. სხვ , წინ ლ კუბიკური საჟენი შეშა 60 თი ღირდა, ნიხრი კი 12 მანეთი . ახლა თფილისის ბაზარზე შეშის ი 1500 მანეთს აღემატება; უდიდესი ი 60 მანეთია.

ავის პრაქტიკაში მიწათ - მოქმე- ბის სამინისტრო კიდევ უფრო ს მიდის და ქმნის ტყით ებლობის შეღავათიან პირობებს, ა საქმე ეხება სოფლელთა პირად ხოვნილების დაკმაყოფილებას. მას ორნაირი ნიხრი: ერთი იმ შემთხ სათვის, როცა ხე-ტყის მასალა გა- დათ გააქვთ, მეორე კი მოქმედობს , თუ ეს მასალა გლეხს საკუთარ როების დასაკმაყოფილებლად მი- . ამ შემთხვევაში, მაგალითად კუ- საჟენ შეშაზე ნიხრი 18—25 მა- მდე, ტყეში დაცვენილ ხმელი ტოტებისა და ფიჩხის გატანა სრულიად უფასოა. ასეთივე შეღავათიანი ნიხრი ჯაგირა მარგილზე და სხვა მასალაზე. გარდა ამისა, კიდევ უფრო შეღავათიან ფასებში ეძლევათ ხეტყის მასალა სა- ზოგადოებრივ დაწესებულებებს, ხოლო ცეცხლით დაზარალებულთ—სრულიად უფასოდ. სამინისტრომ რამდენიმე მი- ლიონი მანეთის ტყე მისცა აგრეთვე აჯანყებისა და ომის დროს დაზარალე- ბულ მცხოვრებთ ახალციხე და ახალქა- ლაქის მაზრებში.

ასეთია სამინისტროს პრაქტიკა.

ნიხრი ე. წ. побочныя пользованія-ზე, რომელმაც ეს აურზაური გამოიწვია, ბრალით შემთხვევით, იქნა ხელმო- წერილი და სატყეო განყოფილების მიერ პროვინციებში დაგზავნილი. ამ ნიხრში, მართლაც, არის ის ისეთი ად- გილები, რომლებიც თითონ სამინის- ტროსთვისაც მიუღებელია. ეს აიხსნება ნაჩქარევი მუშაობით. ახალციხე ახალქა- ლაქის მაზრებიდან დაბრუნების შემდეგ ამ ერთი თვის წინათ მინისტრმა თი- თონვე მოახდინა განკარგულება ხსენე- ბული ნიხრი გადასინჯული და შესწო რებული ყოფილიყო. მალე სატყეო უწ- ყება დაუგზავნის მას თავის ადგილობ- რივ აგენტებს.

საქმის ნამდვილი ვითარების გასაგე- ბათ საჭიროა ითქვას, რომ ამ ნიხრ- შიაც ისეთი, გარდა თითო ოროლა ად- გილისა, საერთოდ არაფერია, რომელ- მაც აღშფოთება გამოიწვიოს. მაგალი- თად საბალახოთი სარგებლობა მთელ სეზონში ერთ სულ სხვილ-ფეხ საქო- ნელზე ღირს 3 მანეთი, ცხვარზე ორი მანეთი და სხ. დესეტინა სახნავ სათეს მიწაზე დაწესებულია 100 მანეთი—ნა- ხევარი ფუთი ხორბლის ფასი. წინეთ მაგალითად, სხვილ-ფეხ საქონელზე ოჩემჩირის სალესნიჩოში არსებობდა 2 მ. 50 კაპ. გადასახადი; როგორც ხედავთ სამინისტროს ეს გადასახადი მხოლოდ ათი შაურით გაუდიდებია.

არის აგრეთვე დაწესებული გადასა- ხადი საშენებელ ქვაზე და სხვ. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ის გასაყი- დათ გააქვთ და არა მაშინ, როცა სოფ- ლელი თავის საჭიროებას იკმაყოფილებს. ზოგიერთ საგანზე დაწესებულ ნიხრს ფისკალური მიზანი სრულებით არ აქვს. ასეთი ნიხრით სატყეო უწყება მიზ- ნად ისახავს მოაწესრიგოს თვალყურის დევნება ტყეებზე, რომ იქ განურჩევლად და განუკითხავად არ შედიოდნენ და ტყეში ცეცხლი არ ჩნდებოდეს. ამ რამ- დენიმე წლის წინად აბასთუმანის, ბორჯომისა და ახალციხის სალესნი- ჩოებში რამდენიმე ათასი დესეტინა ძვირფასი ტყე დაიწვა ცეცხლისაგან. როცა ბარათითაა ტყეში შესვლა, ვინც იქ მიდის, წინასწარ გაფრთხილებულია, რომ ცეცხლი არ გააჩინოს. თითონ გა- დასახადი კი ისეთი მცირეა, რომ მაზე ლაპარაკი არ ღირს. მაგალითად ტყის ხილის მოკრეფვის უფლება მთელ სე- ზონში ღირს 10 მანეთი. ეს არის გირ- ვანქა მაყვალის ფასი.

ასეთია მოკლეთ საქმის ვითარება.

ტყეთა ინსპექტორი **ს. ქურდიანი.**

## რესპუბლიკის ერობათა მეორე ყრილობა

**15 სექტემბრის საღამოს სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ს. ჯანტურიშვილი.** განსახილველია ცენტრის ორგანიზაციის საკითხი, რომლის გარშემო ცხარე კამა- თი გაიმართა. კამათის დროს რამოდე- ნიმე მიმდინარეობამ იჩინა თავი. კამა- თი ამ სხდომაზე ვერ დასრულდა და შემდეგისათვის გადაიდო.

მომხსენებელი **დ. ონიაშვილი.** ცენტ- რის საჭიროება ყველასათვის აშკარაა. ეს ისეთი აქსიომაა, რომლის გარშემო არავითარი დავა არ უნდა იყოს. ცენტ- რის ორგანიზაციის საკითხი უაღრესად პრაქტიკული საკითხია. რომელი საკით- ხიც არ უნდა ავიღოთ, ადმინისტრაციის საქმე იქნება ეს, სკოლის, თუ სანიტრო, თითეული ერობა მის გადაჭრაში სი- სუსტეს გრძნობს. ავიღოთ ხარჯთ-აღ- რიცხვის შედგენა, უბრალო ბუღალტე- რიის მოწყობა და სხვ. ყველა ამ კითხ- ვებს ესაჭიროება ერთგვარი ცოდნა, გამოცდილება და ეს ყველაფერი შეიძ- ლება საფუძვლიანად მოეწყოს მაშინ, რო- ცა ჩვენს ერობებს ექნებათ გამაერთია- ნებელი ცენტრი; საჭიროა ერთი ხელი, ერთი შემაკავშირებელი ძალა. შინაგან საქ. სამ., როგორც გამოცდილებამ გა- მოარკვია, ვერ უძლევს ამ საქმეს, მას ამისთვის არა აქვს დრო. ყველა დელე- გატი აქ იმას აღნიშნავდა, რომ ეს და ეს ქაღალდი გავგზავნეთ, პასუხი თა- ვის დროზე ვერ მივიღეთ, ქაღალდები დაიკარგა და სხ. აქედან შეიძლება მხო- ლოდ ერთი ლოღიკური დასკვნის გამო- ყვანა: შინაგან საქ. სამინისტრო ვერ უძლევს ამ საქმეს და საჭიროა ცნობე- ბისათვის ცენტრის დაარსება. როგორი იქნება ეს ცენტრი? ცენტრი შეიძლება იყოს ორნაირი: თავისუფალი კავ- შირი და იძულებითი უფლებებით აღჭურვილი. თავისუფალ კავშირის მა- გალითი რუსეთმა მოგვცა. იქ ომის დროს დაარსდა ერობების და ქალაქთა კავშირი ეს კავშირი აღორძინდა გარ- დამავალ ხანაში, როცა ძველი რეჟიმი ებრძოდა განმათავისუფლებელ მოძრა- ობას, მაშინ ამ კავშირებმა იკისრეს ჯან- დაცვის წარმოება.

ჩვენში ქალაქთა და ერობათა კავ- შირს სხვა მიზანი აქვს და ექნება. ჩვენი ქალაქების კავშირი ხელოვნურად შეიქ- მნა. ჩვენში რომ ერობები ჩამოყალიბებუ- ლი და განმტკიცებული იყოს, მათ რომ ჰქონდეს თავისი ისტორია და ტრადი- ციები, მაშინ შეიძლებოდა მათი შეკავ- შირება რომელიმე საქმის გარშემო. ჩვე- ნში ეს არ არის და ჩვენი სუსტი ერო- ბების კავშირი ვერაფერს ვერ გააკეთებს. ჩვენს ერობებს ესაჭიროება იძულებითი აპარატი, რომელიც გამოიმუშავებს ნო- რმებს და ჯეროვან ხელმძღვანელობას გაუწევს ნორჩ ერობებს. ეს იძულები- თი აპარატიც შეიძლება იყოს ორნაირი: შეიძლება დაარსდეს ცენტრი, რომელიც ორგანიული გაგრძელება იქნება სამაზ- რო ერობებისა, ან და შეიძლება შინაგ. საქ. სამინისტროთან დაარსდეს საერო- ბო განყოფილება. თავიდანვე უნდა იყოს სასტიკად გამიჯნული ცენტრის და სამაზრო ერობების უფლებები. მკა- ფიოთ და აშკარად უნდა იქნას ნათქვა- მი ეს და ეს უფლება ცენტრს ეკუთ- ვნის, ეს და ეს კი სამაზრო ერობებს თუ შინაგ. საქმ. სამ. დაარსდა ცენტრი, მაშინ სამაზრო ერობებს არ შეუძლიათ თავიანთი უფლებები შეინარჩუნონ და უფლებათა განსაზღვრა სამაზ. ერობების სასარგებლოდ გახდეს, ვინაიდან მთავ- რობასთან უფლებრივ ნიადაგზე გამოდა- ვება ძნელია. ამიტომ ბიუროს აზრით ერობების იძულებითი უფლებებით აღ- ჭურვილი ცენტრი უნდა დაარსდეს ცა- ლკე. მთავრობას რჩება საერთო კონტ- როლის და ხელმძღვანელობის უფლება.

**ლომჯანიძე** (რაჭის ერობა) აღნიშ- ნავს, რომ ცენტრის ორგანიზაციის სა- კითხი აუცილებლათ უნდა დაუკავშირ- დეს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო- ებრივ წყობილების საკითხს. ჩვენ ვი- ცით, რომ ჩვენში იქნება დემოკრატი- ული რესპუბლიკა, პრინციპი დემოკრა- ტიზმისა კი ლაპარაკობს შემდეგს: რის გადაჭრაც შეიძლება ადგილობრივად, ის ადგილობრივმა თვითმართველობებმა გადასჭრან. ხოლო ამ ადგილობრივ მუ- შაობას უნდა ხელმძღვანელობდეს ცენტ- რი, მთელი მართვა-გამგეობის ფუნქცი- ები ცენტრის კომპეტენციაში უნდა შევიდეს. ეს ცენტრი არის მთავრობა. მუნიციპალური წარმოებისათვის კი სა- ჭიროა შეიქმნეს ეკონომიური ცენტრი. თუ დაარსდა ცენტრი იძულებითი უფ- ლებებით აღჭურვილი, მაშინ ის იქნება მეორე მთავრობა, რაც საერთო სახელ- მწიფოებრივი კეთილდღეობის და შენე- ბის თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებე- ლია. რუსეთში თუ იყო კავშირები, მა- თი მიზანი სულ სხვა იყო: ისინი მო- წოდებულნი იყვნენ ბიუროკრატიასთან საბრძოლველად. ჩვენში კი ერობები და მთავრობა შეთანხმებულად აკეთებენ ერთიდაიმავე საქმეებს. ამიტომ მე წი- ნააღმდეგი ვარ იძულებითი ორგანოსი და ვამტკიცებ, რომ უნდა იყოს მხო- ლოდ ერთი ცენტრი, ერთი ხელი და ეს ხელი იქნება მთავრობა.

**თავმჯდომარე:** შემდეგ მოკამათეებს ვსთხოვ მომხსენებლის სიტყვები სის- წორით მოიყვანონ (კ. სულაქველიძე ადგილიდან: ორატორს შეუძლია მომხ- სენებლის სიტყვები თავისებურად დაა- ფასოს და სათანადო დასკვნები გამოი- ყვანოს.)

**პ. ქავთარაძე** (სენაკის ერობა). რო- დესაც ჩვენ ერობაში შევდიოდით სამუ- შაოთ, მაშინ ვგულისხმობდით მარტო კულტურული და ეკონომიური საქმეე- ბის მოწესრიგებას და ამ მხრივ სოფ- ლის აღორძინებას. მაგრამ ცხოვრებამ ჩვენ ხელში შემოგვაჩეჩა ისეთი საკით- ხები, როგორიცაა ადმინისტრაცია და სხვა. ამიტომ ერობები თავიდანვე თა- ვიანთ თავს მთავრობის ორგა- ნოებათ გრძნობდნენ ადგილობრი- ვათ. ჩვენ აუცილებლათ უნდა გვქონ- დეს ეკონომიური და კულტურუ- ლი ცენტრი, თუ ეს არ ვქენი, მაშინ ერთ ადგილას გავიყინებით და ვერ ვაწარმოებთ შემოქმედებითი მუშაობას, ჩვენ გადავიქცევით კომისრის მოვალეო- ბის აღმასრულებლათ. ამ ცენტრს არ უნდა გადაეცეს პოლიტიკური საქმეები. ეს ცენტრი იქნება სამაზრო ერობის ორგანიული გაგრძელება პოლიტიკური მხრის გამოკლებით. მთავრობას არ შეუძლია ამ ცენტრის მაგიერობა გას- წიოს. აქ ამბობენ: დადგება ნორმა- ლური დრო და ეს ცენტრიც არ იქნება საჭირო. ეს შემცდარი აზრია: ჩვენი ცხოვრება თანდათან რთულდება. მთავ- რობას თანამშრომელი უნდა ჰყავდეს. თუ ორი ხელი იმუშავებს ერთ და იმა- ვე საქმეზე უფრო მეტს გააკეთებს, ვი- ნემ ერთი. კულტურულ-ეკონომიური ცენტრი აუცილებლათ უნდა დაარსონ ერობებმა.

**რ. გაგუა.** ცენტრის აუცილებლობა ყველას მიერ აღიარებულია თითქმის. საქმე იმაშია მხოლოდ რა ფორმის, რა კონსტრუქციის უნდა იქნეს ის და რა უფლებები მიენიჭოს. აქ ამბობენ ეკო- ნომიური და კულტურული უფლებები მიეანიჭოთ და პოლიტიკური უფლებებ- ნუ მივცემთო, ეს შემცდარი აზრია. ეკონომიურ და პოლიტიკური მხარეებს შორის დემოკრატიული ხაზის გავლა შეუძლებელია. ჩვენ ხშირად ვურევთ ცნებებს „თვითმართველობა" და „მმარ- თველობა", ვითომ მართველობა გულის- ხმობს სრულ დამოუკიდებლობას. ჩვე- ნი ერობა არ არის თვითმართველობის ორგანო, ის მართველობის ორგანოა. მას უნდა ჰქონდეს სხვა და სხვა საფე- ხურები. ყველა საფეხურებს უნდა ჰქონ- დეს საჯარო უფლებები. თუ ასეთი უფლებები არ ექნა ჩვენს ცენტრს, მას მთავრობა ანგარიშს არ გაუწევს. აქ გამოთქვეს შიში, რომ ეს რაღაც მეორე მთავრობა იქნებაო, ეს შიში უსაფუძვლოა. ჩვენ ცენტრს არ უპირი- დაპირებთ მთავრობას. ორივეს შეუ- ძლია შეთანხმებით მუშაობა. ჩემის ღრმა რწმენით საჭიროა შეიქმნას ერობების ცენტრი საჯარო უფლებებით აღჭურ- ვილი.

**კ. სულაქველიძე** (ქუთ. ერობა) რო- დესაც ჩვენ ცენტრზე ვლაპარაკობთ, მა- შინ სრულიად უნდა დავივიწყოთ ის უკმაყოფილება, რომელსაც ერობები მთავრობისადმი გრძნობენ. ჩვენს მთა- ვრობას არ სცალოდა, სხვა უფრო დი- დი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკი- თხებით იყო დაინტერესებული და ამიტომ ვერ მოგვაქცია ჩვენ ჯეროვანი ყურა- დღება. ჩვენ მუშაობის დროს უნდა გამოვდიოდეთ ნორმალური პირობები- დან. აქ ურევენ ეკონომიურ და პოლი- ტიკურ საკითხებს ერთმანეთში. მე ვამ- ტკიცებ, რომ ყოველგვარი ეკონომიური საკითხი იმავე დროს მჭიდროთ არის დაკავშირებული პოლიტიკურ საკით- ხთან. ავიღოთ თუ გნებავთ სკოლა, განა ამაში არ არის პოლიტიკური მხარე? დიახაც არის. რა არის თვითმართვე- ლობა? რისთვის იბრძოდა მოწინავე კაცობრიობა ამ თვითმართველობისა- თვის? ყველა ამტკიცებდა, რომ ადგი- ლობრივი საქმეები უნდა გააკეთონ ად- გილობრივმა თვითმართველობებმა. მოუ- სპეთ ეს თვითმართველობებს და მაშინ ხელში არაფერი დაგრჩებათ. ამიტომ ჩვენ არავის არ უნდა მივსცეთ ნება, რომ ერობების უფლებები შებღალოს ადგი- ლობრივი საქმეებში, მაგრამ რამდენა- დაც ამ ადგილობრივ საქმეებში ვიცავთ ერობების უფლებებს, იმდენათ წინააღ- მდეგნი ვართ ცენტრისა. მე ვამტკი- ცებ, რომ ცენტრი იქნება მეორე მთა- ვრობა. მე თქვენ გეკითხებით რა უფლე- ბები აქვს იმას, სამაზრო ერობას?—თა- ვის ტერიტორიაზე ის ყველაფრის ბა- ტონ-პატრონია. ასეთივე ბატონ პატრო- ნი იქნება საქართ. ტერიტორიაზე ის ცენ- ტრი, რომელიც თქვენ გინდათ დაარსოთ. ამის შემდეგ მე თქვენ გეკითხებით: იქ- ნება თუ არა ის მეორე მთავრობა? დიახ იქნება. ამიტომ ცენტრის არსებობა არ მოითმენს დემოკ. ფორმა. ამიტომ არ მოითმენს, რომ იქ სხედან დემოკრატე- ბი. თქვენ კი ვინც ცენტრის ორგანი- ზაციის მომხრე ხართ, მე შემიძლია გი- წოდოთ ამ შემთხვევაში არადემოკრატე- ბი (ხმაურობაა) ეხლავე დაგიმტკიცებთ. თქვენ რომ საგუბერნიო ერობის ინსტი- ტუტის შემოღება გინდოდეთ, მაშინ მას მთელ ხალხს აარჩევინებდით. განზრ. ხუ- ლი ცენტრი კი არ იქნება ხალხის მიერ არჩეული ის იქნება არჩეული არა დემო- კრატიული გზით, რაც ყოვლად დაუშვე- ბელია დემოკრატიულ ქვეყანაში. დასა- სრულ მე ვაცხადებ, რომ ჩვენი ცენტ- რი უნდა იქნეს ისეთი, როგორიც არის ჩვენი ქალაქთა კავშირი.

**ლ. შენგელაია.** ცენტრის იდეა დიდი ხანია რაც დაიბადა საერობო მოღვაწე- თა შორის. მიზეზი ამისა ის არის, რომ მთავრობა ვერ უძლევს თავის სისუს- ტის გამო ყველა საერობო საქმეებს, მაგრამ, როდესაც ჩვენ ცენტრის დაარ- სებაზე ვლაპარაკობთ, მაშინ კარგად გა- თვალისწინებული უნდა გვქონდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება და აქე- დან უნდა გამოვდიოდეთ. ჩვენ ვიცით, რომ მართვა გამგეობა, რაც უფრო მარ- ტივი და სადა იქნება, მით უფრო მი- ზან შეწონილი და მოძრავი იქნება. ჩვენი რესპუბლიკა პატარაა. ორმაგი ცენტრის არსებობა ჩვენთვის მავნებე- ლია. თუნდაც რომ არ იქნეს ისეთი ცენტრი, რომელიც მთავრობის ფუნქ- ციებს მიითვისებს, მაინც ცენტრი საქ- მეებს გაართულებს. აქაც და კომისიაშიც ლაპარაკი იყო თვითმართველობა და მმართველობის შესახებ, სად იწყება ერ- თი და სად თავდება მეორე ძნელი საჩვე- ნებელია. ჩემის აზრით ჩვენ თვითმართვე- ლობაც ვართ და მასთან მმართველნიც. ცენტრი, რომელსაც თქვენ ქმნით, იქნება ცენტრი მმართველ-გამგეობისა. ჩვენ ვართ ადგილობრივათ მთავრობის ორგანოები, თვითმართველნიც და მმართველნიც, ცენტრიც მისი გაგრძელება იქნება. და როდესაც ჩვენ მთავრობას მეორე ცენტრს ამოუყენებთ გვერდში, მაშინ ჩვენ კი არ ვაშენებთ სახელმწიფოს, არამედ ვარღვევთ. ვინც მომხრეა ცენ- ტრის, ვსთხოვ ეს ჩემ მიერ წამოყენებუ- ლი დებულებები დაარღვიოს. მეც თქვენთან ერთად მესმის ის მძიმე მდგო- მარეობა, რომელშიაც დღეს ერობები იმყოფებიან, მაგრამ ეს გარდამავალი ხანაა. ჩვენ ყველანი (ერობები) გაერთია- ნებული უნდა ვიყვნეთ მთავრობაში და თუ სამინისტრო ვერ ასრულებს ამ სა- ქმეებს, მაშინ საჭიროა სამინისტროში მოხდეს რეორგანიზაცია. ყრილობამ ამის შესახებ შესაფერი მასალები უნდა მიაწოდოს დამფუძნებელ კრებას. ეს იქ- ნება ბუნებრივი ცენტრი. სანამდე ეს ხორცშესხამდეს, საჭიროა აქ აირჩიონ პრეზიდიუმი, ან ბიუროს სახით, რო- მელიმე ორგანომ.

**ტ. ართმელაძე** (ოზ. ერობა). მე მა- კვირვებს ის გარემოება, რომ აქ სვამენ კითხვას, საჭირო არის თუ არა ცენტრი. ცენტრის საჭიროება დღესავით ნათე- ლია. მე ისიც მაკვირვებს თუ რით უპირდაპირებენ მოლაპარაკენი ცენტრს ჩვენს მთავრობას. ჩემის აზრით ცენტრი არავითარ მეტოქეობას არ გაუწევს მთავ- რობას. ჩვენ ისე უნდა განვამტკიცოთ ჩვენი თვითმმართველობანი, რომ, თუნ- დაც რომ შეიცვალოს ჩვენი პოლიტი- კური მდგომარეობა, ჩვენმა ერობებმა მაინც შესძლონ დემოკრატიული მუშაო- ბის წარმოება.

ყრილობამ პრაქტიკული თვალსაზრი- სით უნდა შეხედოს ამ საკითხს და დააარ- სოს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ცენტრი.

**ის. მალანია** (სენაკის ერობა) ამტკი- ცებს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ცენტრის ორგანიზაციის აუცილებლო- ბას. ცენტრი უნდა იყოს ისეთი, ამბობს ორატორი, — რომელიც ხელმძღვანე- ლობას გაუწევს ჩვენს ნორჩ და ჯერ კიდევ გამოუცდელ ერობებს, მათ მუ- შაობას ჩააყენებს ერთ განსაზღვრულ კალაპოტში. აქ ამტკიცებდნენ, რომ უნდა იყოს ერთი ხელი, თორემ მეორე ხელი პირველ ხელს შეუშლის მოქმე- დებაშიო. მე ეს არ მესმის. ორივე ხელმა რომ ერთად იმუშაოს, მაშინ უფრო მეტი გაკეთდება მგონია მე. მთავრობა ვერ ასწრებს ყველა წვრილ- მან საკითხების მოგვარებას. ამიტომ კი არა, რომ მას ერობა არ აინტერე- სებდეს, არამედ იმიტომ რომ საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ მთავრობას ამ საკითხებისთვის არ სცალია. გუშინ სახალხო გვარდიის ყრილობაზე ჩვენმა ბელადმა ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ ჩვენ ვეყრდნობით სახალხო გვარ- დიას და ერობებსო. ეს ჩვენ ღრმათა გვწამს, მაგრამ წვრილმანი საკითხების გადაჭრას რომ გლეხობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს გვწამს. ამ წვრილ- მანი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხე- ბის მოსაგვარებლათ აუცილებლათ უნდა დაარსდეს საჯარო უფლებებით აღჭურ- ვილი ცენტრი.

**ს. ჯანტურიშვილი.** (ოზურგ. ერობა) ცენტრი საჭიროა, მაგრამ არა ისეთი, როგორის დაარსება სურს მალანიას. წვრილმანი საკითხების გადაჭრისათვის საჭირო უფლებებით აღჭურვილი ცენ- ტრი დღევანდელ პირობებში არ არის საჭირო. აქ მოტივათ მოიყვანეს პოლი- ტიკური მდგომარეობის შეცვლის შე- საძლებლობა. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ თუ ჩვენი პოლიტიკური მდგომა- რეობა შეიცვალა, მაშინ პირველი იე- რიში ცენტრისაკენ იქნება მიმართული და ის ამ იერიშს ვერ გაუძლებს. აქ პოლიტ. მდგომ. შეცვლა მოსატანი არ არის, მე ცენტრის არსებობა წარმო- მიდგენია მთავრობის სახით, წინათ მეც ვფიქრობდი რამე სამინისტროს შექმნის საჭიროებას ამ საერობო საქმეებისა- თვის, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ თუ ასეთი სამინისტრო შეიქმნა, ის ყველა დანარჩენ სამინისტროებს გადაყლაპავს. ორატორი აღნიშნავს საჯარო უფლებე- ბით აღჭურვილ ცენტრის იდეის მიუ- ღებლობას დემოკრატიულის თვალსაზ- რისით და მოითხოვს დაარსდეს ცენ- ტრი ისეთი, როგორიც მაგ. ქალაქთა კავშირია.

**ის. სტურუა.** ვრცელ სიტყვაში ამტ- კიცებს, რომ წმინდა სამეურნეო საქმე- ებისათვის და აგრეთვე საერთოდ სა- ერობო საქმეებისათვის აუცილებლათ სა- ჭიროა საჯარო უფლებებით აღჭურვი- ლი ცენტრის დაარსება.

შემდეგ კამათში მონაწილეობას იღე- ბენ: მ. კლიმიაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ს. მენაღარიშვილი, გ. მაღნარაძე, მ. ცეკვაშვილი, ლ. ასათიანი, მ. ახალაძე.

მომხსენებლის წინ სიტყვას აძლევს შინაგან საქ. მინისტრი **ნოე რამიშვილი:** ის აღნიშნავს, რომ ჩვენი წესწყობილე- ბა დემოკრატიულია, დემოკრატია კი ორ ძალას ეყრდნობა: ქალაქს და სო- ფელს—გაძლიერება სოფლის და ქალა- ქის თვითმართველობათა აი ჩვენი მთავ- რობის საზრუნავი საქმე. სადაც ეს თვით- მართველობანი ძლიერნი არ არიან, იქ დემოკრატია სუსტია. მაგ. ამერიკაში კომუნა ყველაფერია, იქ თვითმართვე- ლობანი ყველაზე უფრო ძლიერია, საფ- რანგეთში, როგორც ბურჟუაზიულ დე- მოკრატიულ სახელმწიფოში საშინელი ცენტრალიზმია განვითარებული. ყველა დემ. ქვეყნებში არის მიდრეკილება ამე- რიკის კომუნისაკენ და სცდილობენ და- ახლოვებით მასთანა თვითმართველო- ბის შექმნას. არა დემოკრატიულ ქვეყ- ნები კი საფრანგეთის ცენტრალიზმისა- კენ მიისწრაფვიან. და ჩვენ აქ გადა- ჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ [illegible] სახე და ხასიათიც არ უნდა [illegible] იმ ახალმა მოძრაობამ, რომელსაც დღეს ჩვენ ევროპაში ვხედავთ, ეს ტენდენცია დემოკრატიულ [illegible] ცვლის. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ ცენტრალიზმი [illegible] უნდა იყოს მხოლოდ [illegible] სტური. სახელმწიფო ყოველთვის გუ- ლისხმობს ცენტრის გაძლიერებას, ერო- ბანი კი ადგილობრივი თვითმართვე- ლობის გაძლიერებას. ჩვენში კი ვხვ- დავთ ადგილობრივ საქმეების მიტო- ვებას და ცენტრისაკენ სწრაფვას. ამას ყველამ უნდა შევებრძოლოთ. მთა- ვრობის პოლიტიკა ამ ჟამად შემდეგში მდგომარეობს: **ჯერ განმტკიცება გაძ- ლიერება სამაზრო ერობის, შემდეგ თემთა თვითმართველობის.**

თემს არ უნდა მიეცეს ჯერ-ჯერობით ფართე საბიუჯეტო და სხ. უფლებები. მისი უფლებები თან და თან უნდა იქ- ნას გაფართოვებული.

არის თუ არა რამე ცენტრი საჭი- რო?—ცენტრი არის საჭირო, მაგრამ იმ სახით ცენტრის ორგანიზაცია, როგორც ეს მომხსენებლის მიერ არის წარმოდ- გენილი, თვითმართველობის პრინციპის დამარღვევაა. მე ღრმათა მწამს, რომ ყოვ- ველგვარი საერობო საქმე, უაღრესად სახელმწიფოებრივი საქმეა. ამიტომ მას ყოველ მხრივათ დახმარებას აღმოუ- ჩენთ.

თქვენ უნდა შექმნათ ისეთი ცენტრი, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს ერობებს პრაქტიკულ მუშაო- ბაში, მიაწვდის მათ ინსტრუქციებს, შე- მუშავებს პროექტებს დამფ. კრებისათ- ვის, ახსნის მიზანს თვითმართველო- ბისას და რომელიც, ასე ვსთქვათ, გზას ჩვენებით განამტკიცებს ადგილობრივ თვითმართველობებს. ამასთან ცენტ- რი იქნება წარმომადგენელი ერო- ბებისა მთავრობის წინაშე. მომხ- სენებელი ონიაშვილი კვლავ ამტკი- ცებს, რომ ცენტრის ორგანიზაციის სა- კითხი უაღრესად პრაქტიკული ხასია- თის საკითხია. აქ კი—ამბობს ის—სა- კითხი დააყენეს განყენებულად, მეტა- ფიზიკურ ნიადაგზე. წინა მოლაპარაკე ორატორები ცენტრს და მთავრობას უპირდაპირებდნენ ერთმანეთს. ეს და- პირდაპირება მეტაფიზიკურად მსჯელო- ბის მეთოდიდან გამომდინარეობს. ცენ- ტრი მთავრობასთან შეთანხმებით იმუ- შავებს იმ კანონების ფარგლებში, რომ- ლებსაც დამფ. კრება გამოსცემს. ცენ- ტრი საუკეთესო გამტარებელი იქნება ცხოვრებაში დამფ. კრების მიერ მიღებულ კანონებისა. იძულებითი უფლებებით აღ- ჭურვილი ცენტრი აუცილებლათ საჭიროა დღევანდელ პირობებში. შემდეგ ორა- ტორი უპასუხებს ყველა იმ დებულებებ- ზე, რომელნიც კამათის დროს მის სა- წინააღმდეგოთ მოიყვანეს ორატორებმა და დაასკვნის, თუ ცენტრის ორგანიზა- ცია უარყავით, მაშინ მე მოვითხოვდი შინაგ. საქ. სამინისტროსთან დაარსე- ბულიყო საერობო განყოფილება, მოხ- ხდარიყო სამინისტროს რეორგანიზაცია. კამათი დასრულდა. კენჭის ყრაში ვერ შეთანხმდნენ და კომისიას გადასცეს სა- კითხი. კომისიას ევალება ამ საკითხის შესახებ წარმოადგინოს რეზოლუცია შემდეგი სხდომისათვის.

## საქართველოს საკონსულო დონის ოლქში და მოხალისეთა ჯარი*)

ივლისის პირველ რიცხვებში როს- ტოვში მოჰკლეს ყუბანის ოლქის დამ- ფუძნებელი კრების, ან როგორც აქ უწოდებენ რადას თავმჯდომარე, გა- მოჩენილი სახალხო მოღვაწე, საქართვე- ლოსთან მეგობრობის მომხრე, რიაბო- ვოლი.

ის მოჰკლეს შავრაზმელებმა როგორც გამოჩენილი დემოკრატი და ამით საბრ- ძოლველად გამოიწვიეს ყუბანის ყაზახო- ბა. გავაცნობ ჩვენს მკითხველებს, თუ რა შედეგი მოჰყვა საქართველოს საკონ- სულოსათვის დონის ოლქში, რიაბოვო- ლის სიკვდილს.

რიაბოვოლი მოჰკლეს როსტოვში მა- შინ, როდესაც ის ჩამოსული იყო რო- გორც დელეგაციის თავმჯდომარე ყუბა- ნის ოლქიდან, სადაც უნდა მიეღო მო- ნაწილეობა სამხრეთ რუსეთის კონფე- რენციაში, რომელსაც უნდა გამოემუ- შავებია სქემა მომავალი მთავრობის შემადგენლობისა სამხრეთ რუსეთისათ- ვის და რომელსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა, როგორც პრესა, აგრეთვე ყველა პოლიტიკური წრეები.

რიაბოვოლმა მხოლოდ ერთ სხდომა- ზე მიიღო მონაწილეობა და თავის უკა- ნასკნელ სიტყვაში, სხვათა შორის სა- ქართველოს დემოკრატიის პოლიტიკა- საც შეეხო და შემდეგი სთქვა: „შეიძლე- ბა საქართველოს დემოკრატიის პოლი- ტიკა შემცდარი იყოს, შეიძლება ის ბევრათ განსხვავდებოდეს ჩვენი პოლი- ტიკისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ეს არ ვიცით. ჩვენ არ გვაძლევენ ნებას საქართველოს დემოკრატიის წარმომად-

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა. რედ.

გენლებს დაველაპარაკოთ. წაგვართვეს უფლება ჩვენს ოჯახში მოვიწვიოთ და ველაპარაკოთ იმათ, ვინც შეიძლება ჩვენი გულითადი მეგობარი და მოყვარე იყოს. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ დღე ვე სცდილობენ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიონ და ყაზახების სისხლით მოპოვებული უფლებანი ფეხ ქვეშ გათელონ. გვეუბნებიან (იგულისხმეთ მოხალისეთა სარდლობა), რომ საქართველოს დემოკრატიამ უღალატა რუსეთის დემოკრატიას და სხვა. ვიმეორებ, ჩვენ ეს არ ვიცით. საჭიროა ჩვენ თითონ დაველაპარაკოთ საქართველოს დემოკრატიას და გავიგოთ, თუ რამდენად მართალია ყველა ის, რასაც აქ საქართველოს შესახებ საზოგადოებაში ავრცელებენ. აქ კაბინეტში უნდა გვყავდეს ჩვენ საქართველოს წარმომადგენლები და მხოლოდ მაშინ შეიძლება სიმართლე გამოირკვეს“.

ამ დღეს, საათის 3, რიაბოვოლი მოკლულ იქნა და მეორე დღეს, ჩვენმა კონსულმა ამხ. ქინქლაძემ ინახულა ყუბანის დელეგაცია და საქართველოს დემოკრატიისა და მთავრობის სახელით სამძიმარი გამოუცხადა ყუბანის დემოკრატიას და, ვინაიდან ეს სიკვდილი ყუბანის ოლქისათვის თითქმის საერო მწუხარება იყო, მან სურვილი გამოსთქვა დასწრებოდა ეკატერინოდარში რიაბოვოლის დასაფლავებას და ამით დაემტკიცებია, რომ ქართველი დემოკრატია ყუბანის დემოკრატიის მეგობარი არის.

დასაფლავება დიდებული იყო. ნათლად სჩანდა, რომ ყუბანი ეხოვებოდა თავის გულის მესაიდუმლეს. მთელი ოლქიდან დაესწრო დასაფლავებას ყაზახთა და არა ყაზახთა წარმომადგენლები. ფრონტმაც თავისი წარმომადგენლები გამოგზავნა. დასაფლავების დღეს ეკატერინოდარის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ გაფიცვა გამოაცხადა და მთელი შემადგენლობით დაესწრო დასაფლავებას. დასაფლავების მეორე დღეს ქალაქის საზაფხულო თეატრში სხდომა დაინიშნა რადის, რიაბოვოლის სახსოვრად და ბევრი ძლიერ მწვავე სიტყვები წარმოითქვა, როგორც მკვლელების შესახებ, აგრეთვე მოხალისეთა პოლიტიკის შესახებაც. ამ სხდომას დაესწრო ჩვენი კონსული და სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა: „საქართველოს დემოკრატიას გულნათლად შეუძლია ელაპარაკოს ყუბანის დემოკრატიას, მას არაფერი დაფარული და დასამალავი არა აქვს. საქართველოს დემოკრატიას არ შეუძლია ელაპარაკოს იმას, ვინც მიზნათ ისახავს რუსეთის განთავისუფლებას ბოლშევიზმისაგან და განთავისუფლების მაგიერ იპყრობს და იმორჩილებს“.

ამ სიტყვის წარმოთქმის დროს დარბაზში იმყოფებოდა გენერალი ლუკომსკი და როგორც შემდეგ გამოირკვა, ის ძლიერ უკმაყოფილო დარჩენილა ამ სიტყვით.

რიაბოვოლის დასაფლავების შემდეგ, ჩვენი კონსული ეკატერინოდარში დარჩა კიდევ ერთ კვირას, სადაც ბილეთები დაურიგა ეკატერინოდარის ქართველობას და შემდეგ დაბრუნდა როსტოვში და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. ამის შემდეგ გავიდა კიდევ ორი კვირა და მოხდა შემდეგი: კონსულის ბინას ესტუმრა ოფიცერი „ახრანით“ და კონსულის ძებნა დაიწყეს. ამ დროს კონსული თავის ბინაზედ არ იყო. მას შეატყობინეს, რომ მის ბინაზე დაუპატიჟებელი სტუმრები იყვნენ. კონსული იმ წამსვე ნოვოჩერკასკში წავიდა და ინახულა საგარეო საქმეთა გამგე და მთავრობის თავმჯდ. გენერალი პოპოვი, რომელთაც მოსთხოვა, რომ თუ ისინი საჭიროთ სცნობენ საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებაში ყოფნას, დაიცვა იმისი პირადობა, როგორც საქართველოს კონსულის. პოპოვმა და როსტოვის გრადონაჩალნიკმა დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში და ვინაიდან როსტოვი მოხალისეთა ხელში იყო, წინადადება მისცეს კონსულს ნოვოჩერკასკში გადასულიყო და იქ განეგრძო თავისი მუშაობა.

დღეს ჩვენი კონსული უკვე ნოვოჩერკასკში იმყოფება და მუშაობას განაგრძობს დონის მთავრობის მფარველობის ქვეშ. რამ გამოიწვია ასეთი ზომები ჩვენი საკონსულოს მიმართ? ამის პასუხს ჩვენ ვპულობთ დონის მთავრობის კანცელარიიდან, სადაც ეკატერინოდარში სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მოსულა ოფიციალური შეკითხვა გენერალ ლუკომსკისაგან შემდეგი შინაარსის: „ეკატერინოდარში რიაბოვოლის დასაფლავებაზე, გაზეთების გადმოცემით დაესწრო, საქართველოს კონსული დონის ოლქიდან. იმავე კონსულმა რიაბოვოლის სახელობაზე დანიშნულ სადარბაზო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა. ვინაიდან ჩვენ ძლიერ გვაინტერესებს, არის თუ არა ასეთი კონსული დონის ოლქში, ამისათვის გთხოვთ შეგვატყობინოთ, იმყოფება დონის ოლქში ასეთი კონსული თუ არა და თუ იმყოფება მისი სახელი, გვარი და ვინაობაო“.

მე ამ დღეებში ვინახულე ამხ. ქინქლაძე ქალ ნოვოჩერკასკში და ბაასიდან გამოირკვა, რომ საკონსულოს ნოვოჩერკასკში გადასვლით არაფერი წაუგია, პირიქით, კიდევ უფრო გამოკეთებულა ისედაც მეგობრული განწყობილება დონის მთავრობასა და საქართველოს წარმომადგენლობას შუა.

მე აქ გავეცანი,—მითხრა სხვათა შორის ამხანაგმა ქინქლაძემ—ბევრ გამოჩენილ დონის მოღვაწეებს გავეცანი საქართველოს მთავრობის პოლიტიკა და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დონის მთავრობისა და საქართველოს მეგობრული დამოკიდებულობა არასოდეს არ დაირღვევა. თუ დღემდე მთავრობის ოფიციალური ორგანო დონში, „დონის ვედომოსტები“ს ნომრებში, ხშირათ შეხვდებოდით პროვოკაციულ წერილებს საქართველოს წინააღმდეგ, დღეს ეს არ ხდება, ვინაიდან მე მათ აუხსენი, თუ რას მოასწავებს ასეთი პროვოკაცია და ვისთვის არის ეს საჭირო. გამოცხადებული მობილიზაცია ქართველების მიმართ, ვინც პირველ იანვრამდე, ათას ცხრაას თორმეტ წლამდე ცხოვრობდენ რუსეთში, ჩემის შუამდგომლობით მოხსნილი იქნა და არავინ ჯარში გაყვანილი აღარ იქნება, თუ ისინი განუცხადებენ, რომ საქართველოს ქვეშევრდომნი არიან. კონსულთა კოლეგიამ როსტოვში მე უკვე მიმიღო თავის წრეში და რაც უნდა იმოქმედოს მოხალისეთა სარდლობამ დონში ჩემს წინააღმდეგ, სანამ დონს ჰყავს თავისი მთავრობა და ატარებს თავის პოლიტიკას, მე ხელუხლებელი დავრჩები. დღეს მე საქართველოში ვაპირებ წასვლას და აქედან მე მომყვება საქართველოში „კრუგის“ დეპუტატი, გამოჩენილი მოღვაწე აგეევი, რომელსაც უნდა დაახლოვებით და ადგილობრივ გაიცნოს საქართველოს მთავრობის პოლიტიკა და მდგომარეობა, რის შემდეგაც საკონსულოს მუშაობა დონში უფრო გაადვილდება და ფართო ხასიათს მიიღებსო“.

ასე დამთავრა თავისი საუბარი ჩემთან ამხ. ქინქლაძემ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოხალისეთა სარდლობა ძლიერ მალე უნდა შეურიგდეს იმას, რომ საქართველოს საკონსულო დონში არსებობს და შემდეგშიაც იარსებებს.

13 აგვისტო, როსტოვი.

გარიყული.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 16 სექტემბერს შესდგა საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 12 წევრი. გაირჩა კითხვები: კომიტეტის თვიური საარაუდო ხარჯთ აღრიცხვა (სმეტა), აქვს თუ არა თფილისის კომიტეტის წევრს, თუ კი ის კოლექტივში არჩეული არ არის, ამ უკანასკნელში გადამწყვეტი ხმის უფლება, რაიონის მდივნების ორგანიზაციის შექმნა, პარტიული სკოლა. პარტიული კრებები და მოხსენებები მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრების, ჩვენი გაზეთების გავრცელება, პროფესიონალურ კავშირებთან დამოკიდებულება, „მირის“ ქარხანაში გამოცხადებული ლოკაუტი.

მიიღეს პირველ ენკენისთვიდან საარაუდო თვიური ხარჯთ-აღრიცხვა 9000 მანეთი, რომელიც ცალკ-ცალკე ანგარიშებით შემდეგ ნაირად ნაწილდება.—შემოსავალი: საწევრო მარკებიდან (საპროცენტო თვიური გადასახადი წევრებზე)—4000 მ., საწევრო ბარათებიდან—3000 მ., სხვადასხვა შემოსავალი 2000 მ. გასავალი: ჯამაგირები მოსამსახურეებს—5400, განათება და გათბობა—400 მ., საკანცელარიო ხარჯები—300 მ.; სახლის ქირა და წყალი—400 მ., სასტამბო ხარჯები—1000 მ., მოულოდნელი და წვრილმანი ხარჯები—500 მ., საპროცენტო გადასახადი ცენტრალურ კომიტეტს—1000 მ.

თფილისის კომიტეტის წევრი, თუ იგი იმავე დროს კოლექტივის წევრიც არ არის უკანასკნელში, არ სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

რაიონის მდივნების შეკავშირება და მათი საერთო ორგანიზაციის შექმნა და აგრეთვე საკითხი პარტიული სკოლის ორგანიზაციების მოწყობისა, გადაეცა წინასწარ შესადგენათ პრეზიდიუმს, რომელიც შემდეგ კრებისათვის გაუკეთებს ამ საგანზე მოხსენებას კომიტეტს.

ეცნობა რაიონებს, რომ გამართონ ხშირი საჯარო ღიაური კრებები და მოიწვიონ მოხსენებების წასაკითხად მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრები, რომლებიც თავიანთ მხრივ სიამოვნებით მოდიან ასეთ სხდომებზე.

რომ პარტიას უფრო მჭიდრო კავშირი ქონდეს პროფესიონალურ ორგანიზაციებთან იგზავნებიან პროფესიონალურ კავშირების ჩვენი ფრაქციის ბიუროში ორი წარმომადგენელი: გ. ბახტაძე და გიორგაძე.

საკითხი პარტიული გაზეთების გავრცელების შესახებ დაისმება მომავალ რაიონების შეერთებულ სხდომაზე.

შემდეგ, თანახმად პრეზიდიუმის მოხსენებისა, კომიტეტმა დაამტკიცა თავისუფალ თანხად, რომელიც დარჩება პრეზიდიუმს ყოველდღიურ საჭიროებისთვის 5000 მანეთი და დანარჩენი ინახება საკრედიტო დაწესებულებაში, ხოლო განსაკუთრებულ მოსალოდნელ შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით პრეზიდიუმს ეძლევა უფლება ზედმეტი თანხის გაღებისა, ჯამით 2000 მანეთისა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, თუ საქმისთვის საჭიროა აღნიშნულ თანხაზე მეტი ფულის გაღება ამის დადასტურება ეკუთვნის თვით თფილისის კომიტეტს. დამტკიცდა აგრეთვე, რომ მოხდეს დაწვრილებითი აღწერა მთელ თფილისის კომიტეტის ქონებისა და ინვენტარის შედგენისა. გადაეცა ქუთაისში გამოცემულ სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა სურათების შესაძენათ და ორგანიზაციებში გასავრცელებლათ 5000 მ. დასასრულ აირჩეს შრომის მინისტრთან მოსალაპარაკებლად, „მირის“ ქარხანაში მომხდარ მუშების მასიურ დათხოვნების გამო, ფეწივაძე და გ. ბახტაძე.

მდივანი

---

რკინის გზის სამმართველო. 17 სექტემბერს შესდგა სამმართველოს რაიონის ს. დ. პარტიის ქვეკოლექტივის მიერ მოწვეული პარტიის წევრთა საერთო კრება. რაიონში პარტიის წევრთა რიცხვი 230-მდე ითვლება. კრებას მოვიდა 200 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ გიორგი ბახტაძე, მდივნათ სოლომონ თავაძე.

თანამედროვე მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლეო ნათაძემ.

შემდეგ კრებას მოხსენდა ქვეკოლექტივის მოღვაწეობის ანგარიში.

წარმოდგენილ სამ რეზოლუციიდან გავიდა ამხ. [illegible] რეზოლუცია, რომლითაც ქვეკოლექტივის მუშაობა არა დამაკმაყოფილებლად [illegible] ცნობილი.

მესამე, [illegible] სამმართველოს რაიონის [illegible] წევრთა 1 რაიონზე [illegible] კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, [illegible] ზენა ორგანიზაციებს, [illegible] საქართველოს ქვერაიონი [illegible] რაიონში.

ქვეკოლექტივში მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ: [illegible] ბახტაძე, სოლომონ თავაძე, [illegible] ფერაძე, ვანო ნაცვლიშვილი, [illegible] გოგოძე, მიხ. [illegible] ლომიძე, გიორგი [illegible] კახელიძე და [illegible] ლოლუა.

[illegible] მ.

---

გორის სამაზრო ს. დ. პარტიის კომიტეტის რეზოლუციებში, რომელიც დაბეჭდილი იყო „ერთობის“ № 207 ნომერში, შეცდომით გამოტოვებულია შემდეგი ალაგი: რეზოლუციის მეშვიდე მუხლში, მეოთხე პუნქტში დაბეჭდილია: „ცენტრი სრულს ნდობას უცხადებს სამაზრო ერობის თავმჯდომარეს ამხ. მიხ ახალაძეს“—უნდა იყოს: „ცენტრი სრულს ნდობას უცხადებს ერობის თავმჯდომარეს ამხ. მ. ახალაძეს, რომელიც შეურაცხყოფილად გრძნობს თავს ერობის ჩვენ ფრაქციაში მომხდარ ინციდენტის დროს და მთელ გამგეობის შემადგენლობას“.

## მუშათა შორის

სად. ქვალონი (ფოთის რ.). 14 სექტემბერს, ადგილობრივ სასწავლებლის დარბაზში შესდგა ქვალონის მცხოვრებლების და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით ორასამდე კაცი. ამ კრებაზე მოწვეული იყო დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ვას. ნოდია და ფოთის რაიონული პროპაგანდისტი მიხ. ჯაჯანიძე. ვას. ნოდიამ წაიკითხა მოხსენება მომენტის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ქვალონის მცხოვრებლების და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ვ. ნოდიასი, გულწრფელ სალამს უძღვნის რევოლიუციის გვირგვინს დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას, უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ; ამასთან კრება აღუთქვამს მათ ყოველგვარ დახმარებას ჩვენი დემოკრატიულ წეს წყობილების მტრების ასალაგმავათ“.

ასეთივე რეზოლიუცია იქმნა გამოტანილი 15 სექტემბერს ახალ სენაკის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ვას. ნოდიას მოხსენების შემდეგ.

მიხ. ჯაჯანიძე.

---

ფოთი. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, ნათქვამია, ეს თქმულება სწორედ ჩვენზედ. ხე ტყის ქარხნების მუშებზე არის ზედ გამოჭრილი, სრულიად უყურადღებოთ არიან დატოვებული აქაური ქარხნების მუშები, სანამ მემამულეებს ჰქონდათ ტყე, ცოტად თუ ბევრად ხე ჩამოდიოდა სისტემატიურად ბაზარზე. ეხლა კი კერძო პირებს არ აძლევენ ნებას ტყის მოჭრისას, მოჭრილი გამოილია ბაზარზე, ხე აღარ ჩამოდის და ქარხნებში მუშაობა შესწყდა. მუშებში ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს, ამ დარგის მომუშავეთა კავშირი იშლება, რასაც საჭიროა მიაქციონ ყურადღება. საჭიროა მიიღონ ზომები, რომ ხსენებული ქარხნები ამუშავებულ იქნას. იმედი გვაქვს მთავრობა გაითვალისწინებს რა მუშათა აუტანელ პირობებს, შეეცდება ხე ტყის ქარხნების მუშათა მდგომარეობას რაიმე გამოსავალი მისცეს და საკითხი ასე თუ ისე გადასჭრას.

ს. ხაფთასი.

## პროვინცია

ს. ურიათუბანი (კახეთი) მესამე თვეა რაც სოფ. ურიათუბან შაშიანში მოხდა წვრილი ერობების არჩევნები. არჩეულია ოცი ხმოსანი, ამათში ორი წილი ხმოსნებისა ს.-დ. არიან. გამგეობაში გავიდნენ: ერთი სოც. ფედერალისტი, ერთი უპარტიო და ერთიც ს.-დ. გამგეობას ბევრი საქმეები აქვს დასახული ცხოვრებაში გასატარებლათ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდეც გაატარებს მათ ხალხის საკეთილდღეოდ. ერთი უპირველესი საქმე, რომელიც გამგეობამ უკვე დაიწყო, არის ურიათუბან შაშიანისთვის წყლის გამოყვანის საკითხი. თემმა მოიწვია გიდრავლიკი ინჟ. ქურდიანი; მისი გამოკვლევით გამოსაყვანი წყაროები იმდენი აღმოჩნდა, რომ თამამათ ეყოფა არამც თუ ორ სოფელს, ოთხ სოფელსაც კი; მიუხედავათ ამისა, სოფელი შაშიანი წინააღმდეგია სოფ. ურიათუბანთან ერთად წყლის გამოყვანისა. ამას ასაბუთებენ ჯერ ერთი იმით, რომ წყაროები გამოდიან შაშიანის მთაში, მეორე იმით, რომ არა სჯერათ თითქოს წყალი ეყოფოდეს ორ სოფელს. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად მოხდა ხმოსანთა კრება, რომელმაც დაადგინა: გაიგზავნოს ორი გამგეობის წევრი, ერთი სოფ ურიათუბნიდან და ერთიც სოფ. შაშიანიდან სამაზრო ერობაში ამ საკითხის გადასაჭრელათ. იმედია ამ საქმეს სამაზრო ერობა დიდ ყურადღებას მიაქცევს და ამით ურიათუბან-შაშიანის თემის გამგეობას საშუალებას მისცემს თავისი ინიციატივით დაწყებული ფრიად სასარგებლო საქმე კეთილად დააგვირგვინოს.

მოქალაქე.

---

ძიმითის, ნოე ჟორდანიას სახელობის, უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის სასკოლო საბჭომ ამავე სასწავლებლის შენობის ფონდის გასაძლიერებლათ მიიღო შემოწირულება შემდეგი პირებისაგან: საპატიო მეთვალყურე ფილიპე დ. გოგელიასაგან 3,000 მ., ბართლომე ალექსის ძე კილაძისაგან 1,000 მ., ძმ. ლომაძეებისაგან 1,000 მ., ნოე სიხარულიძისაგან 500 მ, პორფირე გვიშიანიძისაგან 300 მ., კალისტრატე გოგუასაგან 100 მ., არსენ ჯახუტაშვილისაგან 50 მან. ხსენებულ პირებს სასკოლო საბჭო ულრმეს მადლობას სწირავს. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია პანტელიმონ დიმიტრის ძე გოგელია ამ საქმეში დახმარებისათვის. საბჭო სთხოვს ყველა იმ პირებს, ვისაც დაგზავნილი აქვთ მოწოდებები და ჯერ არ დაუბრუნებიათ, დაგვიბრუნონ ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

საბჭოს მონდობილობით ძიმითის
უმაღლ. დაწყ. სასწ. ინსპექტორის
მოადგილე ამხ. შევარდნაძე.

---

ამაშუკეთი (შორაპნის მაზრა). ეს საზოგადოება მდებარეობს მდ ძირულის ხეობის 15—18 ვერსის მანძილზე, სად ძირულიდან. სოფლის სამმართველო არსებობს სოფ. ბორითში, აქვეა ორკლასიანი სკოლა და კოოპერატივი. კვირაობით აქ იმართება დიდი ბაზრობა. შორაპნის სამაზრო ერობამ ამ ზამთარში გახსნა საავადმყოფო, რისთვისაც ეხლა საკუთარ შენობის აგებას აპირობენ 29 აგვისტოს აქ მოხდა მცხოვრებთა საზოგადო ყრილობა, რომელზედაც ადგ. კომისარმა გამოაცხადა ერთ-დროული გადასახადის შესახებ. კრებას ახსნა-განმარტება მისცა ამხ. ა. ებ—ძემ. ილაპარაკეს სხვებმაც. ხალხი თანაგრძნობით შეხვდა იმ განცხადებას, მაგრამ აქ გაჩნდა რამდენიმე პირი და გამოიწვიეს აურ-ზაური. ისინი დაძვრებოდნენ ხალხში და ავრცელებდნენ ჭორებს ჩვენს ამხანაგ ისაკი ბარბაქაძეზე. ზოგიც აშკარათ გამოვიდა და გასწია გადასახადის წინააღმდეგ აგიტაცია. პროვოკატორები სოფლებში ავრცელებენ ხმებს და ჭორებს. საჭიროა მათი ალაგმვა.

შავარელი.

## წერ. რედაქციის მიმართ

ძვირფასო პატივცემულო რედაქტორო! ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის თანამშრომელთა საბჭოს დავალებით გთხოვთ მოათავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს №-ში ეს მოკლე შენიშვნა ერთ უსახელო წერილის შესახებ, რომელიც დასტამბული იყო „ერთობის“ № 189-ში შემდეგი სათაურით: „ანარქიის ტალღებში“. ხსენებულ წერილის ავტორი ეხება რა იმ ანარქიულ სულისკვეთებას, რომელიც მას შეუმჩნევია თფილისის სხვადასხვა ორგანიზაციებში (თფილისის ფოსტა ტელეგრ. მილიციის და სხვა). სხვათა შორის მას აგრეთვე ანარქიული სულისკვეთება დაუნახავს აგრეთვე ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის თანამშრომელთა (მოსამსახურეთა) საბჭოს მოქმედებაშიაც. ის სწერს: „ამიერ-კავკასიის, ახლა ვგონებ საქართველოს კოოპერატივთა კავშირის გამგეობის გვერდით მოქმედებს ამავე კავშირის საწყობის და კანტორის მოსამსახურეთა პროფესიონალური საბჭო **კავშირის გამგეობასთან ერთად** (ხაზს ყველგან მე ვუსვამ. ვ. ს.), რომელიც თავის მოქმედებაში პასუხის მგებელია კოოპერატივთა ყრილობის წინაშე, **მუშაობს და სწყვეტს საკითხებს თფილისის საწყობის მოსამსახურეთა კავშირი, რომლისთვისაც არც ვისმეს დაუვალებია ეს და რომელიც არც აურჩევია ვისმეს ამისთვის**“. ეს ამონაწერი ნათლად მოწმობს, რომ წერილის ავტორი ნაკლებათ იცნობს იმ უფლებრივ და ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობასა და ამავე კავშირის თანამშრომელთა საბჭოს შორის. (ამ საკითხს მე ეხლა არ შევეხები; თუ საჭირო იქნება ამის გარკვევა, იმედია, პატივცემული რედაქცია საშუალებას მოგვცემს „ერთობის“ ფურცლებზე მოვათავსოთ ცალკე წერილი.) წერილის ავტორს ჰგონია, რომ თანამშრომელთა საბჭო თითქოს მოქმედებდეს **„კავშირის გამგეობასთან ერთად“**, უსახელო ავტორი იმასაც ამბობს, თომ ეს საბჭო **„მუშაობს და სწყვეტს საკითხებს, რომლისთვისაც არც ვისმეს დაუვალებია ეს და რომელიც არც აურჩევია ვისმეს ამისთვის“**. მას ისიც გონია თითქოს საბჭოს გარდა კიდევ არსებობდეს **„თფილისის საწყობის მოსამსახურეთა კავშირი“**. უნდა განვაცხადო, რომ ყველა ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება; რომ სრულიად შემცდარათ აქვს დახასიათებული პატივცემულ ავტორს როგორც საბჭოს მოქმედება, ისე მისი ფუნქციები და დანიშნულება. მისი შეხედულება ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირის თანამშრომელთა საბჭოზე ამ სამწუხარო გაუგებრობის შედეგია. საბჭო იმედოვნებს, რომ წერილის ავტორი უარჰყოფს თავის ბრალდებებს, როგორც დამყარებულს შემცდარ ინფორმაციაზე.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის თანამშრომელთა საბჭოს მონდობილობით საბჭოს მდივანი **ვარდენ საბახტარიშვილი.**

---

„ერთობა“-ში № 185 მოთავსებულია ბ-ნი ლიახვისპირელის წერილი, სადაც ამბობს, რომ როცა კომისრად ვიყავი დ. ცხინვალში, ჩავიდინე დიდი უკანონობა. რადგანაც ბ-მა ლიახვისპირელმა მომცხო ჩირქი და სრულებით მართალი მუშაკი გამხვია ქუჩის ჭორების ბურუსში, მე ვიწვევ ბ-ნ ლიახვისპირელს საქედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრივ ვნიშნავ მედიატორებათ დ. ცხინვალში მცხოვ. აგრონომ გაბრიელ ოქროპირიძეს, ალ. კვალიძეს და ვასო ელიოზიშვილს. თუ ბ-მა ლიახვისპირელმა ერთი კვირის განმავლობაში ამ წერილის დასტამბვის შემდეგ არ დაასახელა მედიატორები, იძულებული ვიქნები მივმართო სასამართლოს.

ვალ. ბოცვაძე.

## ცნობები

გერმანიიდან დაბრუნებულ ქართველ ტყვეებს ვთხოვ მაცნობონ თუ რამე იციან მიხეილ ლევანის ძე მეგრელიშვილის შესახებ, რომელიც იმყოფებოდა ტყვედ გერმანიაში. ჩემი ადრესი: ქალ. თფილისი პარკოვის ქუჩა № 15 შალვა მეგრელიშვილს.

## განცხადებანი

[illegible] „სტაბ-ტრუბაჩი“
პირობების გაგება შეიძლება ნავთლუღში პოლკის შტაბში. (1—1)

ჭრა-კერვის კურსები
**მ. ა. ბერიევისა**
(მოსკოვში ერმოლოვის კურს დამთავრებული) დაბრუნდა აგარაკიდან და განაახლა მიღება მოწაფეებისა და დაკვეთებისა, მიხეილის პრ. 97. (3—2)

**ექიმი ბესარიონ ჯაკოვი**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. სად. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

**ექიმი ნ. მ. მუხაძე.**
დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ლ. ა. სარალიძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

**ექიმი ა. ი. ძუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

**ექიმი მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღის ქუჩა № 33.

**ექიმი ქალი რ. მ. შიუკო-ხაბაზიშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა იღებს ყოველდღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბჭოთ დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5 6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

**ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

**ექიმი მ. ფ. [illegible]**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 12—75.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **[illegible]**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათდა წამლობა X სხივებით, დიდი სოლენოიდი და არისევალი ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ექიმი ა. დ. კაკაბია**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4— ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

**ექიმი დ. ი. ჯაჯანიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12— ნახ. საათ. საღამოს 5— საათ. მისამართი: [illegible] ქუჩა. 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

**გორის სამაზრო ერობაში** საჭირო არის **ექიმი-გამგე**
მედიკო-სანიტარული განყოფილების. მსურველებმა თხოვნასთან უნდა გამოგზავნონ Curriculum vitae.
3—1 გამგეობა.

სახელმწ. მოს. ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ
სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, 21 ენკენისთვეს 1919 წ. დილის 10 საათზე ქართული კლუბის შენობაში (დამფუძნებელი კრების ქ., 5) დანიშნულია
**წევრთა მეორე საზოგადო კრება**
რომელიც ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.
დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობის შესახებ, 2) არჩევა გამგეობის წევრების და მათი კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები.
გამგეობა სთხოვს საზოგადოების ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.
გამგეობა. (3—2)

**გზათა ტეხნიკოსების მოსამზადებელი კურსები**
ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყება კურსებზე მეცადინეობა გზათა ტეხნიკოსების მოსამზადებლათ. კურსები რვა თვიანია. კურსებზე ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება უმაღლეს საინჟენერო სასწავლებლის კანცელარიაში ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 91.
2—2 კურსების გამგე ინჟინერი გ. გ. [illegible]